# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№47 (10050) 2026 წლის 24 აპრილი, პარასკევი



## ცუდის მთქმელსაც კარგი გამგონი უნდა!!!



პაველ ჰერჩინსკი

2

**არ უნდა დავუშვათ, რომ საქართველო და შესანიშნავი, სტუმართმოყვარე ქართველი ხალხი დაბრუნდეს ძალადობის, სამოქალაქო ომის, სიღარიბის, გაჭირვების, კორუფციის ბნელ დროში!**

ირაკლი კობახიძე: ჰერჩინსკის განცხადება არის პირდაპირი მუქარა!

შალვა პაპუაშვილი: საქართველო არ არის პერიფერიული კოლონია!

კახა კალაძე: თითი იმას დაუქნიოს, ვისაც აქამდე უქნევდნენ!

6 7

ანზორ თოთაძე:

## „ვეფხისტყაოსანი“ ქართველთა სიმდაბლეზე დაწერილი ნაწარმოებია?

ანუ რობერტ სტურუას წყლის ნაყვის ინდუსტრია

## გვიყვარხარ, პატრიარქო!



იხ. 3 გვ.

## დიდი სასწაულ-მოქმედი

40 დღე სრულდება, რაც ილია მეორე ზესთა-სოფელს შეუერთდა!

## სინოდის სხდომა 28 აპრილს გაიმართება!

## „კარგ ყმად ვინა ვთქვათ, ვოჟებო!“



5

ზურაბ ლომიძე – სპორტის და კულტურის გამოჩენილი მოღვაწე

2024 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 929 581 კაცი შეადგინა

## ! ამ სავალალო სტატისტიკის გეშინოდეს, ქართველო!



11



8

## ამერიკა–ისრაელ–ირანის ომი უფრო გამწვავდება!!!

ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

# ცუდის მთქმელსაც კარგი გამგონი უნდა!!!

## პაველ ჰერჩინსკი:

## არ უნდა დავუშვათ, რომ საქართველო და შესანიშნავი, სტუმართმოყვარე ქართველი ხალხი დაბრუნდეს ძალადობის, სამოქალაქო ომის, სიღარიბის, გაჭირვების, კორუფციის ბნელ დროში!



**საქართველო გზაგასაყარზე დგას, საქართველოს მომავალი ჯერ არ დაწერილა, მაგრამ ის, რაც მომავალ კვირებსა და თვეებში გადაწყდება, განსაზღვრავს, ეკუთვნის საქართველო ევროპული ქვეყნების ოჯახს, რომელიც დაფუძნებულია დემოკრატიაზე, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებებზე, თუ, სამწუხაროდ, თავის ბნელ წარსულს დაუბრუნდება,** – ამის შესახებ საქართველოში ევროკავშირის ელჩმა **პაველ ჰერჩინსკიმ** ბრიუსელში, ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურში განაცხადა, სადაც დოკუმენტური ფოტოგამოფენა **„საქართველო ფოკუსში“** გაიხსნა.

**„ეს დიდი სიამაყისა და სიხარულის მომენტი იყო. მას შემდეგ, სამწუხაროდ, საქართველო სწორ ტრაექტორიაზე აღარ იმყოფება. ხელისუფლებამ აირჩია ალტერნატიული, ავტორიტარიზმის მოდელი და საქართველოს ევროკავშირს აშორებს“,** – აღნიშნა ჰერჩინსკიმ, რომლის ციტატას „ნეტგაზეთი“ ავრცელებს. ჰერჩინსკიმ იმედი გამოთქვა, რომ საქართველო ევროინტეგრაციისა და დემოკრატიის გზას დაუბრუნდება.

**„ჩემი მთავარი გზავნილი ქართველი ხალხის მიმართ არის – „ნუ დაკარგავთ იმედს“! ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ საქართველო და შესანიშნავი, თბილი, სტუმართმოყვარე ქართველი ხალხი დაბრუნდეს ძალადობის, სამოქალაქო ომის, სიღარიბის, გაჭირვების, კორუფციის ბნელ დროში. ეს არ არის ის მომავალი, რომელსაც ისინი იმსახურებენ. როგორც კი ხელისუფლება გამოთქვამს ჩვენთან თანამშრომლობის სურვილს, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ დავეხმაროთ საქართველოს, გახდეს ევროკავშირის წევრი“,** – განაცხადა ჰერჩინსკიმ.

## ირაკლი კობახიძე:

## ჰერჩინსკის განცხადება არის პირდაპირი მუქარა!



**ევროკავშირის ელჩი ქართველ ხალხს ემუქრება სამოქალაქო ომით და გაღარიბებით, ეს არის მისი პირდაპირი მუქარა. ამისთვის მიზანშეწონილია ელჩის დაბარება საგარეო საქმეთა სამინისტროში,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** ჟურნალისტებს განუცხადა.

**„მან თქვა, რომ უახლოეს მომავალში გადაწყდება, როგორ განვითარდება ქვეყანაში მოვლენები, განვითარდება ერთი მიმართულებით ან მეორე მიმართულებით. ეს მეორე მიმართულება, მისი შეხედულებით, არის სამოქალაქო ომი და მოსახლეობის გაღარიბება. როდესაც ასე ემუქრება ევროკავშირის ელჩი ხალხს, ეს უბრალოდ შეფასებასაც კი არ იმსახურებს, ეს მართლა ტრაგიკულია. ელჩი ამბობს, რომ უახლოეს მომავალში გადაწყდება ან ერთი, და ამას უწოდებს ევროკავშირის გზას, ან მეორე – სამოქალაქო ომი და გაღარიბება. ამით ემუქრება ევროკავშირის ელჩი ქართველ ხალხს. მას რომ არ შეუძლია, ეს ცალკე საკითხია, მაგრამ ქართველ ხალხს ემუქრება სამოქალაქო ომით და გაღარიბებით. ეს არის მისი პირდაპირი მუქარა. რა თქმა უნდა, მიზანშეწონილი არის ამისთვის ელჩის დაბარება საგარეო საქმეთა სამინისტროში. ვერ გადაფარავთ სხვა განცხადებებით ამ უმძიმეს განცხადებას, რომელიც არის პირდაპირი მუქარა ქართველი ხალხის წინააღმდეგ და ქართველი ხალხის მიმართ, მუქარა სამოქალაქო ომით და გაღარიბებით. ეს არის უბრალოდ სამარცხვინო. ესაა უმარტივესი ლოგიკური განმარტება, როდესაც ასე აყენებ საკითხს, რომ უახლოეს მომავალში გადაწყდება ქვეყნის ბედი ერთი ან მეორე მიმართულებით, რაც არის სამოქალაქო ომი და გაღარიბება.**

**ჩვენ ქვეყანაში გამოვიარეთ რევოლუციის მოწყობის ხუთი მცდელობა ოთხი წლის განმავლობაში. ბატონი ელჩი საპარლამენტო არჩევნების წინ გამოდიოდა და ქართველ ხალხს მოუწოდებდა „ნაცების“ დაბრუნებისკენ. პირდაპირ მოუწოდა, მობილიზდითო, გაუშვით ეს ხელისუფლება და მოაბრუნეთ ხელისუფლებაში „ნაცებიო“. პირდაპირ მოუწოდებდა ამისკენ ქართველ ხალხს. ქართველ ხალხს ის პირდაპირ, თავისი მოწოდებით აბრუნებდა სისხლიან, სწორედ რომ ბნელ 9-წლიან წარსულში. ეს არის ელჩის სულისკვეთება. ტრაგიკულია, როდესაც ევროკავშირის ელჩი გამოდის ამით და უმატებს იმას, რომ ქართველ ხალხს პირდაპირ ემუქრება სამოქალაქო ომით და გაღარიბებით“...**

## შალვა პაპუაშვილი:

## საქართველო არ არის პერიფერიული კოლონია!

**„ძალადობაზე გვესაუბრებიან ისინი, ვინც თავად წააქეზა 4 ოქტომბრის ძალადობა; სამოქალაქო ომზე გვაფრთხილებენ ისინი, ვისი დაფინანსებითაც მოქმედებენ ეკლესიაზე, სახელმწიფოსა და ადამიანის ღირსებაზე თავდამსხმელი ჯგუფები; სიღარიბეზე გვმოძღვრავენ ისინი, ვინც რუსეთთან სანქციების ომში გვითრევენ და ეკონომიკის ნგრევისთვის, სიღატაკისთვის გვწირავენ; ბნელ წარსულზე გველაპარაკებიან ისინი, ვინც სიცრუითა და მზაკვრობით ცდილობენ, გაამართლონ რეჟიმი, რომლის დროსაც ადამიანის უფლებების დარღვევა, რეკეტი, წამება სახელმწიფო პოლიტიკად იყო ქცეული.**

**რაც შეეხება ქართველ ხალხს, მისი ნამდვილი სახე მკაფიოდ გამოჩნდა 2024 წელს. ეს არის ხალხი, რომელიც თავად წყვეტს საკუთარ ბედს, იცავს საკუთარ ღირებულებებს და არ თმობს საკუთარ გზას. ხალხი, როგორც ერთობა, სწორედ ასეთი მოვლენებით იზომება და არა ვინმეს გემოვნებით – საყოველთაო დღეები გამოხატავენ ხალხს. ხალხი ვნახეთ 2024 წლის არჩევნებზე. ხალხი ვნახეთ პატრიარქთან გამოთხოვების დღეებში. ხალხს კიდევ ერთხელ ვიხილავთ რამდენიმე დღეში, 17 მაისს – ერთიანს, მტკიცეს, საკუთარ რწმენასა და იდენტობაზე დამყარებულს. ამ ფონზე, ბატონი ელჩის მხრიდან „ხალხზე“ საუბარი არა მხოლოდ არაკორექტულია, ის პოლიტიკური ცინიზმის კლასიკური მაგალითია. ყველაზე დიდი ცინიზმი კი ისაა, რომ ეს ბრალდებები ისმის იმ გარემოდან, სადაც ძალადობა რომანტიზებულია, მისი ორგანიზატორები კი ჰეროიზებული. დაბოლოს, საქართველო ყოველთვის მზად არის კონსტრუქციული დიალოგისთვის და ბრიუსელმა კარგად იცის, რა არის ამისთვის აუცილებელი: უნდა შეწყდეს საქართველოს მიმართ აგრესიული რიტორიკა; უნდა შეწყდეს არჩეულ ხელისუფლებაზე თავდასხმები; გაუქმდეს ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართული მტრული რეზოლუციები. ურთიერთობა, რომელიც არ ეფუძნება პატივისცემას, ვერ იქნება პარტნიორობა“.**



## რედაქციისგან: „ქართულო ოცნებავ“, ზედმეტ გალიზიანებას ისევ ჩვენი პატრიარქისეული მიტევება და კრიტიკისგან სიმართლის მარცვალთა მოძიება სჯობს!

## მიხეილ ყაველაშვილი:

## უახლოეს მომავალში ყაზახეთი და საქართველო სტრატეგიული პარტნიორები გახდებიან

**მიხეილ ყაველაშვილის განცხადებით, მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული რეგიონული ეკოლოგიური სამიტი, სადაც ყურადღება დაეთმო გარემოს დაცვით საკითხებს და ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებს.**



**„სამიტი ძალიან მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. ჩემს სიტყვაშიც გადავუხადე მადლობა ყაზახეთის მთავრობას და მის პრეზიდენტს, რომელმაც უზრუნველყო გაეროსთან ერთად ასეთი მაღალი დონის სამიტის ორგანიზება.**

**გარემოს დაცვითი მიმართულებით ნამდვილად არსებობს გამოწვევები, არა მარტო სახელმწიფოებისთვის, არამედ საზოგადოებებისა და მოქალაქეებისთვის.ძალიან საინტერესო თემებს შევეხეთ ყველანი. წარმოდგენილი იყვნენ შუა აზიის ქვეყნების პირველი პირები და კავკასიის ქვეყნების, სამხრეთ კავკასიის პირველი პირები.**

**სამიტი ორი დღე გაგრძელდება. გრძანდებოდნენ ჩვენი მინისტრებიც, ჩვენი წარმომადგენლები, რომლებიც შემდეგ გააგრძელებენ ამ პროცესში მონაწილეობას. ჩვენ ჩვენი როლი გვაქვს, ძალიან ვუფრთხილდებით ჩვენს გარემოს. სამიტამდე დავათვალიერეთ პავილიონი, სადაც შუა აზიის ქვეყნები იყვნენ წარმოდგენილი ახალი პროექტებით, რომლებიც ასევე ძალიან საინტერესოა. მნიშვნელოვანია, რომ საქართველო მონაწილეობდა ასეთი მაღალი დონის სამიტში და იმედს ვიტოვებთ, რომ ეს პროცესი გაგრძელდება. ჩვენ ჩვენი როლი გვაქვს გარემოს დაცვის და ეკოლოგიის კუთხით. ჩემს სიტყვაშიც განვაცხადე, რომ ამ პროცესშიც ჩართული ვართ. ამ ყველაფერს თან სდევს ჩვენი გაცხადებული სამშვიდობო პოლიტიკა და სტაბილური მდგომარეობა, პარალელურ რეჟიმში ეკონომიკური ზრდა, რომელსაც ყველა ერთად აღნიშნავს, რადგან ეს პროცესი დაკავშირებულია ერთმანეთთან, ინკლუზიურია და ყველა ჩართულია ამ პროცესში. საომარი ვითარებებია გარშემო, დაძაბულობაა და ასეთი გამოწვევების ფონზე თითქოს რატომ უნდა გვაწუხებდეს ეკოლოგია, მაგრამ ეს ყველაფერი კავშირშია ჩვენს სამყაროსთან, ადამიანებთან, სახელმწიფოებთან, რასაც ძალიან გაგებით ეკიდებიან. ჩვენ ლიდერებთან შემდეგ ცალკეც გვქონდა ამ თემებზე საუბარი. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ შუა აზიის ქვეყნებთან თითქმის ყველასთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. გარდა ეკოლოგიისა, იცით, რომ შუა დერეფნის თემა ძალიან მიმზიდველია, მით უმეტეს, ახლა კიდევ უფრო მეტად იძენს თავის ფუნქციას. ყველამ იცის, რომ საქართველოს გარეშე ეს პროცესი წარმოუდგენელია და ამაში ყველანი ერთხმად ვთანხმდებით. ძალიან კარგი შესაძლებლობები აქვს ჩვენს ქვეყანას“,** – განაცხადა **მიხეილ ყაველაშვილმა.**

მიხეილ ყაველაშვილის განმარტებით, ყაზახეთის პრეზიდენტთან შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ უახლოეს მომავალში ყაზახეთი და საქართველო მოაწერენ ხელს სტრატეგიული პარტნიორობის დოკუმენტს.

**„ბოლოს მქონდა ყაზახეთის პრეზიდენტთან შეხვედრა, სადაც აღვნიშნეთ, რომ ჩვენი ტრადიციული მეგობრობა, რომელიც გვაკავშირებს სხვადასხვა სფეროში სავაჭრო, ეკონომიკის კუთხით, საჭიროებს სტრატეგიული პარტნიორობის დოკუმენტის შექმნას, უფრო სწორად, ხელმოწერას. ამაზე ჩვენ შევთანხმდით და უახლოეს მომავალში ყაზახეთი და საქართველო მოაწერენ ხელს სტრატეგიული პარტნიორობის დოკუმენტს, სადაც ყველა მიმართულებით იქნება გაწერილი ორივე ქვეყნის შესაძლებლობები და ურთიერთსარგებელზე დაფუძნებული პროცესები“,** – აღნიშნა **მიხეილ ყაველაშვილმა.**

# დიდი სასწაულმოქმედი

დიდი პატრიარქის გარდაცვალებიდან ორმოცი დღე აღსრულდა.

საქართველომ, ქართველმა ერმა დაკარგა უდიდესი შვილი, ძალ-ღონე და გონება მიწა-წყლისა; პიროვნება, რომელიც სრულიად საქართველოს პატრიარქის ზეობაში თითქმის ნახევარი საუკუნე იყო. ამ რანგის სხვა პიროვნებას პატრიარქობაში არც ამდენი დრო გაუტარებია და, რაც მთავარია, ქვეყნისათვის იგავმიუწვდომელი წარმატებისთვის არ მიუღწევია. ადამიანთა შემობრუნება ეკლესიისკენ; განათლების, მეცნიერების, ხელოვნების განვითარება, ხალხზე, მუდმივი ზრუნვა. ყოველივე ამ სიკეთის გამო არ იყო შემთხვევითი ის საოცრება-სასწაული, რაც საქართველომ, ქართველმა ხალხმა მის მიმართ გამოხატა.



ჩვენ ილია მეორის სასწაულმოქმედების მოწმე ვიყავით, მაგრამ ყველაზე დიდი სასწაული ქართველი ერის, მთელი საქართველოს დამოკიდებულების გამოხატულება იყო აღსრულებული პატრიარქისადმი, როცა ორ მილიონზე მეტი ადამიანი ოთხი დღეღამის – ხაზს ვუსვამ – დღეღამის განმავლობაში პატივს მიაგებდა დიდ პატრიარქს. არსად, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, არც ერთი საეკლესიო პირისთვის ასეთი პატივი არ მიუგიათ. ჩვენი დიდი პატრიარქი თავისი დიდი სახელით წავიდა ჩვენგან. და აი, ორმოცი დღის თავზე, როცა მისი ამაღლება, ანგელოზთა დასთან თანაზიარი ხდება, ქართველი ხალხი, საქართველო, მარადიულ სიყვარულს უცხადებს მას. ადამიანებს ღრმა შეგრძნებით აქვთ გაცნობიერებული ილია მეორის მიერ დამოწმებული ისაია წინასწარმეტყველის შეგონება: „მთვარის ნათელი მზის ნათელივით იქნება და მზის ნათელი გაშვიდკაცდება შვიდი დღის ნათელივით, მაშინ შეუხვევს ჭრილობას უფალი თავის ერს და თავის დანარტყამს განკურნავს“ (თავი 23,&26).

წავიდა ჩვენგან დიდი პატრიარქი და დაგვიტოვა დიდი სახელი საქართველოს ისტორიაში ქვეყნისათვის დამაშვრალ უგამოჩენილეს გმირთა – ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, მეფე თამარის, გიორგი ბრწყინვალის, ვახტანგ მეექვსის, ილია ჭავჭავაძის ღვაწლის თანაზიარი გახდა. მან დაგვიტოვა ოპტიმიზმით სავსე პოეტური შეგონება:„როცა კითხვები გულში ისმება, ნუ უფიქრდები უაზრო კითხვებს, ღმერთის წყალობით – სულ ყველაფერი კარგად იქნება“.

ღრმად ვიწამოთ და გულმხურვალედ მივსდიოთ დიდი პატრიარქის შეგონებას.

დიდი პატრიარქისთვის
მარად მლოცველი
**რონ მეტრეველი**

## 40 დღე სრულდება, რაც ილია მეორე ზესთასოფელს შეუერთდა!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, **ილია მეორის** გარდაცვალებიდან მე-40 დღის მოახლოებასთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქო მიმართვას ავრცელებს.

**„შაბათს, 25 აპრილს 40 დღე სრულდება, რაც მისი უწმინდესობა და უნეტარესობა ილია II ზესთასოფელს შეუერთდა. მოგეხსენებათ, ქრისტიანული სწავლებით, ამქვეყნად აღსრულებულ საქმეთა მიხედვით, მე-40 დღეს ხდება სულის დამკვიდრება იმ ადგილზე, რომელიც აღარ შეიცვლება მეორედ მოსვლამდე; მეორედ მოსვლისას კი ხელახლა მოხდება საბოლოო ადგილის მიკუთვნება გარდაცვლილისთვის მის სახელზე შემდეგ აღსრულებულ სხვა სიკეთეთა გათვალისწინებით. ასე რომ, მე-40 დღე ფრიად მნიშვნელოვანია. ფაქტია, მთელი საქართველო ლოცულობს მისი უწმინდესობისთვის და ყველას სურს, მაქსიმალურად შეეწიოს ჩვენს პატრიარქს.**

**გარდა ლოცვისა, რა თქმა უნდა, სხვა შესაძლებლობებიც მრავალგვარია; დიდად მნიშვნელოვანია, მაგალითად, მოყვასისათვის სიკეთის ქმნა. ამასთან, შეგახსენებთ ილია II-ის ერთ სურვილსაც, რომ, ღვთის სადიდებლად, თუნდაც ერთი ნაკლოვანება გამოგვესწორებინა და მას სამუდამოდ განვშორებოდით.**

**თუ თითოეული ჩვენგანი ამას ჩვენი პატრიარქის სახელზეც გავაკეთებთ, წარმოიდგინეთ, უფლის რაოდენ დიდი მადლი და წყალობა მოეფინება ჩვენს ერს, როგორ გავახარებთ ამით მის უწმინდესობასა და უნეტარესობას და როგორი დიდი შეწევნა იქნება ეს (როგორც ჩვენი, ისე) მისი სულისთვის“!..**

## სინოდის სხდომა 28 აპრილს გაიმართება!

– ამის შესახებ ინფორმაციას საპატრიარქო ავრცელებს.

**მათივე ცნობით, სინოდის 28 აპრილის სხდომაზე პატრიარქობის სამ კანდიდატს შეარჩევენ. „ამა წლის 28 აპრილს, 12:00 საათზე საქართველოს საპატრიარქოში გაიმართება წმინდა სინოდის სხდომა. ამ სხდომაზე გამორჩეული იქნება სამი საპატრიარქო კანდიდატი“.**





# გამოფენა ეროვნულ არქივში

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მრავალწლიან სულიერ, საზოგადოებრივ და ეროვნულ მოღვაწეობას მიეძღვნა გამოფენა „პატრიარქი ილია II“, რომელიც საქართველოს ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში საქართველოს იუსტიციის მინისტრმა პაატა სალიამ გახსნა.**

გამოფენა ასახავს პატრიარქის მრავალმხრივ მოღვაწეობას: ეკლესიის აღორძინებას, სასულიერო განათლების განვითარებას, მის კულტურულ, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ საქმიანობას.

საგამოფენო პავილიონში წარმოდგენილია საქართველოს საპატრიარქოდან დროებით საექსპოზიციოდ არქივისთვის გადაცემული ორი შესამოსელი. მათგან ერთ-ერთი **ილია მეორეს** ინტრონიზაციის დღეს, 1977 წლის 25 დეკემბერს ეცვა; ასევე საპატრიარქო მანტია, რომელსაც ილია II ღვთისმსახურებისას სიცოცხლის ბოლომდე ატარებდა. გამოფენის გახსნის დღეს დარბაზში წარმოდგენილი იყო საქართველოს პატრიარქების – ეფრემ II-ისა და ილია II-ის – კუთვნილი ჯვარი.

გამოფენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხაზი არის საქართველოს ეროვნული არქივისა და პატრიარქის მრავალწლიანი ურთიერთობა. ილია II ეროვნულ არქივს სამჯერ ეწვია. მისი ლოცვა-კურთხევით 2006 წელს რესტავრაცია ჩაუტარდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქართულ ხელნაწერს – ანჩის სახარებას (XII ს.). ეს ურთიერთობა ნათლად წარმოაჩენს მის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ეროვნული მემკვიდრეობის დაცვისა და შესწავლისადმი.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ არქივსა და საოჯახო არქივებში დაცული მასალა; ასევე ცნობილი ქართველი ფოტოგრაფების – **რამაზ ნაცვლიშვილის, იური მეჩითოვის, გოგა ჩანადირის, დავით ხიზანიშვილის, ლუარსაბ ტოგონიძის, გიგლა ბენაშვილის, ბადრი** და **ირაკლი ვადაჭკორიების, ბესო გულიაშვილის, გიორგი აბდალაძისა** და **გიორგი მეურმიშვილის** – ნამუშევრები. **ფოტომასალის ნაწილს ფართო საზოგადოება პირველად ნახავს. გამოფენა მიზნად ისახავს, საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენოს პატრიარქის განსაკუთრებული როლი საქართველოს სულიერ, კულტურულ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.**





# 1992 წლის 23 აპრილს აშშ-მა თბილისში საელჩო გახსნა!



**1992 წლის 23 აპრილს, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან სულ რაღაც ერთ თვეში, შეერთებულმა შტატებმა თბილისში საელჩო გახსნა. ეს იყო საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისადმი აშშ-ის მხარდაჭერის ძლიერი სიგნალი,** – ამის შესახებ საქართველოში **აშშ-ის საელჩოს** განცხადებაშია აღნიშნული.

**„იმ დროს ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა კერი კავანომ გახსნას ისტორიული უწოდა და აშშ-საქართველოს შორის კავშირების გაძლიერებაზე, თანამშრომლობის გაფართოებასა და ჰუმანიტარული მხარდაჭერის ხელშეწყობის გეგმებზე ისაუბრა.**

**დღეს, 34 წლის შემდეგ, ჩვენ სიამაყით ვაგრძელებთ ორმხრივად სასარგებლო პარტნიორობის გაძლიერებასა და განვითარებას საქართველოში“...**

## კახა კალაძე:

# თითი იმას დაუქნიონ, ვისაც აქამდე უქნევდნენ!

**„ძალიან შემაშფოთებელი განცხადება იყო – საუბარი იყო ომზე, სამოქალაქო დაპირისპირებაზე. ძალიან მძიმეა ამ ყველაფრის მოსმენა. თუ აქამდე შენიღბულად მოგვიწოდებდნენ ომში ჩართვაზე, აგერ პირდაპირ გამოვიდა და ისაუბრა სამოქალაქო დაპირისპირებაზე, დაემუქრა ქართველებს და სახელმწიფოს.**

**ეს არის ძალიან მძიმე. პირველ რიგში, აუცილებლად უნდა მოხდეს მისი დაბარება და უნდა დაისვას კონკრეტული კითხვები, რაზეც პასუხები გვჭირდება. საქართველოს არაფრისგან გადაუხვევია. ჩვენ ვართ დემოკრატიული, თავისუფალი ქვეყანა. თუ ვინმეს სურვილი აქვს, რომ თავში წამოგვარტყას და თავის „ხუშტურებზე“ გვატაროს, ასე ვერ იქნება. ყველამ კარგად უნდა გაიგოს, რომ ჩვენ, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, გვჭირდება მეგობრები, პარტნიორები და არა ბატონები, რომლებიც თითს დაგვიქნევენ. თითი დაუქნიონ მას, ვისაც აქამდე უქნევდნენ. ჩვენთან ეს არ გამოუვათ, რადგან ჩვენ ჩვენი პოლიტიკით ვემსახურებით მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნისა და ქართველი ხალხის ინტერესებს. რა თქმა უნდა, ყოველთვის გვექნება პრინციპული პოზიცია“.**

# თბილისის მთავრობა მუშაობს




**22 აპრილს საზოგადოებას მუნიციპალური ინსპექციისთვის განახლებული ავტოპარკი წარვუდგინეთ. აღნიშნული სამსახურის ეფექტური მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ბოლო წლების განმავლობაში ბევრი ნაბიჯი გადავდგით იმ მიმართულებით, რომ ეს მიმართულება იყოს მოწოდების სიმაღლეზე.**

მთლიანად განახლდა ყველა საჭიროება, რაც აღნიშნულ სამსახურს ეფექტური მუშაობისთვის სჭირდება. თქვენ იცით, რომ გვაქვს სერიოზული გამოწვევები, თუნდაც უკანონო მშენებლობის თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ცვლილებები განვახორციელეთ. მუნიციპალური ინსპექციის სწორი და გამართული მუშაობა პრინციპულად მნიშვნელოვანია. მომდევნო წლებშიც აღნიშნულს დაეთმობა განსაკუთრებული ყურადღება. მინდა, მუნიციპალური ინსპექციის თითოეულ თანამშრომელს მადლობა გადავუხადო იმ საქმიანობისთვის, რასაც ყოველდღიურ რეჟიმში ჩვენი ქალაქისთვის ახორციელებენ.

* * *

**თბილისის მერია, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურების“ პროგრამის ფარგლებში, შშმ პირებისთვის 3 600-მდე ვაუჩერს გასცემს. საქართველოს კურორტებზე დასასვენებლად განკუთვნილი ვაუჩერების რაოდენობა ყოველ წელს იზრდება და შესაბამისად, დასვენების შესაძლებლობა ამ საჭიროების მქონე მეტ შშმ პირს ეძლევა.**

აღნიშნული პროგრამისთვის 2026 წლის ბიუჯეტიდან სამი მილიონი ლარი გამოიყოფა. საკურორტო ვაუჩერით დასასვენებლად არანაკლებ ექვსი დღე-ღამეა განსაზღვრული. ვაუჩერით მოსარგებლე შშმ პირი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი, საქართველოს მთისა და ზღვის კურორტზე დასასვენებლად, ადგილს, სასტუმროს და დროს თავად ირჩევს. უახლოეს დღეებში, საკურორტო ვაუჩერების დარიგების პროცესი დაიწყება, რაც „საქართველოს ფოსტის“ მეშვეობით განხორციელდება. საკურორტო ვაუჩერის გამოყენების ვადა პირველი მაისიდან 15 სექტემბრის ჩათვლით არის განსაზღვრული. 2025 წელს დედაქალაქის მერიამ 3 247 საკურორტო ვაუჩერი გასცა.

* * *

**ავარიული სახლის ჩანაცვლების პროგრამების ფარგლებში, უკვე ათეულობით პროექტია მიმდინარე პროცესში. ამჯერად, დეველოპერთან ერთად, მოგვმართა მიცკევიჩის ქუჩის N4-ში მცხოვრებმა მოსახლეობამ და ითხოვა ავარიული სახლის ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელება.**

ეს საცხოვრებელი სახლი, დღეის მდგომარეობით, წარმოადგენს IV ხარისხის დაზიანების მქონე შენობას. კორპუსში ცხოვრობს 20-მდე ოჯახი და მათი მდგომარეობა, შენობის ავარიულობის გამო, დღითიდღე უარესდება. აქედან გამომდინარე, ვიღებთ გადაწყვეტილებას, რომ გავცეთ შესაბამისი ხელშემწყობი ღონისძიებები, რათა განხორციელდეს აღნიშნული 4-სართულიანი ავარიული საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი და მის ადგილას ახალი, თანამედროვე კორპუსი აშენდეს, სადაც მესაკუთრეებს გარემონტებულ მდგომარეობაში გადაეცემათ მათი კუთვნილი ფართები.

* * *

**2026 წელს 700-მდე ამორტიზებული ლიფტის განახლება და სრული რეაბილიტაცია მოხდება, ხოლო ოთხი წლის განმავლობაში, თბილისში ყველა ამორტიზებული ლიფტი განახლდება. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში უკვე დასრულდა 100-მდე ლიფტის სრული განახლება, ამ ეტაპზე კი მიმდინარეობს 54 ლიფტის რეაბილიტაცია.**

მიმდინარე წლის ბიუჯეტში, წინა წელთან შედარებით, ამ მიმართულებით თანხები გაორმაგდა და 31 მლნ ლარია გათვალისწინებული. სამუშაოები „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში ხორციელდება. გამგეობები განიხილავენ შემოტანილ განცხადებებს და მათ შესაბამისობას ამ წესით დადგენილ პირობებთან. ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების ჩატარების მიზნით, გამგეობა სრულად აფინანსებს სხვადასხვა სამუშაოს, მათ შორის ლიფტების განახლებას.

* * *

**გაზრდილი მოთხოვნიდან გამომდინარე, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო წელს კიდევ ერთ ახალ ინფრასტრუქტურულ პროექტს დაიწყებს. პროექტი ითვალისწინებს გლდანის რაიონში, სარაჯიშვილის ქუჩის N13-ში, თბილისის N14 საბავშვო ბაგა-ბაღის ახალი შენობის მშენებლობას.**

გასულ კვირას გამოცხადდა ტენდერი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე, განაცხადების მიღება კი დასრულდება 11 მაისს. უახლოეს მომავალში გაფორმდება ხელშეკრულება გამარჯვებულ კომპანიასთან და დაიწყება ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობის მშენებლობა. ახალი ბაღი რვაჯგუფიანი იქნება და 250-მდე აღსაზრდელს მოემსახურება. ბაგა-ბაღის ტერიტორია 3 500-მდე კვადრატული მეტრია, სადაც აშენდება თანამედროვე, ევროპული სტანდარტების შენობა და უზრუნველყოფილი იქნება ბავშვთა უსაფრთხოების ყველა სტანდარტი. ჩვენ ძალიან დიდ ყურადღებას ვუთმობთ, რომ ყველა ნივთი აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს და ჰქონდეს შესაბამისი სერტიფიკატი.

# აგროსექტორის მხარდასაჭერად

## გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ახალი სახელმწიფო პროგრამა წარადგინა

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ახალი პროგრამა – „აგროთანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა“ წარადგინა, რომელიც აგროსექტორის მხარდაჭერის თანამედროვე და გაუმჯობესებულ მოდელს ითვალისწინებს.**

პროგრამა მიზნად ისახავს ერთიანი, ინტეგრირებული, გამჭვირვალე და შედეგებზე ორიენტირებული სისტემის ჩამოყალიბებას. ბენეფიციართა შერჩევა განხორციელდება წინასწარ განსაზღვრული და გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროცესის სამართლიანობასა და ეფექტიანობას.

**გარდა ამისა, პროგრამა ითვალისწინებს პრიორიტეტული სექტორების მიზნობრივ შერჩევას, რაც ხელს შეუწყობს რესურსების ოპტიმალურ გადანაწილებას და მაქსიმალურ შედეგს.**

პროგრამის ფარგლებში დაინერგება თანამედროვე ინსტრუმენტები და მექანიზმები, განვითარდება მონაცემთა ბაზები და გაძლიერდება მონიტორინგის სისტემა. ეს უზრუნველყოფს პროცესების უწყვეტ ანალიზს, შედეგების შეფასებას და საბიუჯეტო სახსრების ეფექტიან გამოყენებას.

**განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა აგროსაქმიანობის კომერციალიზაციის გაძლიერებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სექტორის მდგრად განვითარებას და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების გაძლიერებას. დღევანდელი ღონისძიება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ გახსნა.**



# კვალი დროში



ამბობენ, ცხოვრება კიბე არის, მისი საფეხურები კი ეტაპებს წარმოადგენს. იმ ეტაპებს, რომელსაც ადამიანი გადის. ყველაზე მთავარი კი ის არის, რა მიმართულებას აირჩევ.

## ზურაბ ლომიძე — სპორტის და კულტურის გამოჩენილი მოღვაწე

# „კარგ ყმად ვინა ვთქვათ, ვოჟებო!“



იანო ალიბეგაშვილი და ზურაბ ლომიძე

**ზურაბ ლომიძემ სპორტი აირჩია. 10 წლის იყო, როდესაც პირველად მიიყვანეს საცურაო აუზზე. მალევე წყალბურთით დაინტერესდა.**

**გავიდა დრო და თბილისის „დინამოს“ წევრი გახდა. გუნდმა, რომლის წევრებიც იყვნენ ნოდარ გვახარია, გივი ჩიქვანაია, ვიქტორ რომანოვი, ოთარ მიმინოშვილი, ირაკლი ჩხიკვაძე, ჯუმბერ წიკლაური მოიარა საბჭოთა კავშირის ქვეყნები. პრიზის გარეშე კი სამშობლოში არასდროს დაბრუნებულან. ზურაბ ლომიძის სპორტულ კარიერაში ოქროს ასოებით ჩაიწერა 1959 წელს მოპოვებული გამარჯვება. მაშინ თბილისის „დინამოს“ წყალბურთელებმა საბჭოთა კავშირის პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავეს. ტურნირზე უკეთესი შედეგის მიღებაც შეეძლოთ, თუმცა, მაშინ პირველი ადგილის დაკავების უფლება მხოლოდ მოსკოვის გუნდებს ჰქონდათ.**

თბილისში დაბრუნებული გამარჯვებული გუნდი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ მიიწვია. შეხვედრის ფარგლებში მან წყალბურთელებს დამსახურებული გამარჯვება მიულოცა და სამახსოვრო საჩუქრებიც გადასცა. შეხვედრაზე დაისვა კითხვაც: **თქვენ ხომ არ გაქვთ ჩემთან რაიმე სათხოვარი?** რომლის ავტორი თავად ვასილ მჟავანაძე იყო, ადრესატი კი თბილისის „დინამოს“ გუნდი, თუმცა მათ ნაცვლად საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ უპასუხა. **„ბიჭების გამარჯვება ორმაგად დასაფასებელია, მათ თბილისში მუდმივად მძიმე პირობებში უწევთ ვარჯიში. ძნელია ჰიგიენის დაცვაც, რადგან არ არის ცხელი წყალი. ამიტომ ისინი უმეტეს დროს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში ატარებენ, სადაც მუდმივად ვარჯიშობენ, მაგრამ მოწყვეტილნი არიან ოჯახებსა და სასწავლო დაწესებულებებს. ახლაც, მცირე პაუზის შემდეგ კიევში მიემგზავრებიან“.**

ამ თხოვნას სწრაფი რეაგირებაც მოჰყვა. ვასილ მჟავანაძემ ცენტრალური კომიტეტის მდივანს, სპორტის კურატორს, ქალბატონ ფატუმა დუმბაძეს მისცა დავალება, რომ რაც შეიძლება მალე მოეგვარებინათ აუზის ცხელი წყლით უზრუნველყოფა. შედეგმაც არ დააყოვნა. რამდენიმე წელიწადში კი ვაკეში პირველი 50-მეტრიანი ზამთრის აუზიც აშენდა. საზაფხულო სპორტული კომპლექსი კი აბრეშუმის ფაბრიკის მიმდებარედ მოეწყო „ლაგუნა ვერე“, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ქართველი წყალბურთელების, მოცურავეებისა და წყალში მხტომელების წარმატებაში.

**ზურაბ ლომიძეს** ადრეულ ასაკში დაწყებული სპორტული კარიერა 1965 წლამდე გაგრძელდა. 8 წლის შემდეგ სპორტული ცხოვრება შემოქმედებითმა ჩაანაცვლა. ზურაბ ლომიძე 1973 წელს ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირეტორი გახდა, რომელსაც ადრე პიონერთა სასახლე ერქვა. ქალაქის ცენტრში მდებარე ეს შენობა ყოველთვის იყო ყველა მოზარდისთვის საოცნებო ადგილი. ისტორიული სასახლე, სადაც საქართველოს ბოლო ორსაუკუნოვანი ისტორია დაიწერა, ყველაზე კარგად გვახსენებს: **ვინ ვართ და საიდან მოვდივართ!..**

ეროვნული სასახლისთვის გარდამტეხი 1975 წელი აღმოჩნდა, პერიოდი, როდესაც მისი გადატანა კიბერნეტიკის ინსტიტუტის შენობაში მოინდომეს. ეს ამბავი არ დაიმალა, პირიქით, მალევე არათუ მთელმა სასახლემ, ქალაქმაც გაიგო. თათბირზე, რომელიც ცენტრალურ კომიტეტში იმართებოდა, მიიწვიეს ზურაბ ლომიძეც. ცნობილი გახდა, რომ საქართველოს პიონერთა სასახლე ფაქტობრივად მთაწმინდის ძირში უნდა გადასულიყო. საქართველოს განათლების მინისტრმა თამარ ლაშქარაშვილმა აღნიშნული მოსაზრება არ მოიწონა და თქვა, რომ ეს მკვეთრად შეამცირებდა სასახლეში ბავშვთა რაოდენობას. გაუქმდებოდა არაერთი კაბინეტი და წრე. ბოლოს მათ სასახლის დირექტორს მიმართეს: **„ეს შენობა 1940 წელს ბავშვებს გადასცა „ხალხის მტერმა“ ლავრენტი ბერიამ და მას შემდეგ აქ ათასობით ბავშვი აღიზარდა. თბილისის პიონერთა სასახლის სახელი გასცდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს. სასახლის აღსაზრდელები თითქმის ყოველთვიურად მსოფლიოს არაერთი ქვეყნის დელეგაციას მასპინძლობენ. „მზიური“ და ქორეოგრაფიული ანსამბლი კი საქართველოს ისტორიაში პირველად დამოუკიდებლად წავიდნენ საზღვარგარეთ. ამიტომ, მე, როგორც სასახლის დღევანდელ ხელმძღვანელს მიმაჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება უნდა გადაიხედოს და მოიძებნოს უფრო ოპტიმალური ვარიანტი. მე გთავაზობთ სასახლის ბაღის მარცხენა მხარეს მდებარე კალინინის რაიკომისა და მისი მიმდებარე ორი შენობის აღებას. ეს საშუალებას მოგვცემს აშენდეს ნებისმიერი ფართის შენობა. ამ იდეის ავტორი გურამ მირიანაშვლი იყო. აღნიშნული აზრი ყველამ მოიწონა“,** — თქვა ზურაბ ლომიძემ.

სასახლის დირექტორის განმარტება ყველასთვის მისაღები აღმოჩნდა.

**— „სასახლეში გადაღებებზე ხშირად დავდიოდი მოამბიდან. ერთ დღესაც შემხვდა ზურაბ ლომიძე და მითხრა, რა აზრის ხარ, ჩვენთან რომ დაიწყო მუშაობაო. ისე გამოვიდა, რომ მიმიღო სასახლეში და 30 მანეთი დამინიშნა ხელფასი. ერთ კვირაში საქართველოში პიონერთა სასახლის დირექტორების საკავშირო დელეგაცია ჩამოვიდა, რომელიც გადავიღე და საღამოს ეთერში გავიდა, შესაბამისად ჩემი ხელფასიც 400 მანეთამდე გაიზარდა“,** — ამბობს გრიგოლ ჩიგოგიძე კინოსტუდია **„პიონერფილმის“** ხელმძღვანელი.

გრძელდება ზურაბ ლომიძის შემოქმედებითი გზაც. რუსთაველის 6 ნომრიდან მან რუსთაველის 25 ნომერში ოპერისა და ბალეტის სახელწიფო თეატრში გადაინაცვლა. 1986 წელს გახდა ოპერის დირექტორი, ამ პოზიციაზე მან 2004 წლამდე იმუშავა. იმ ხანებში რთული ვითარება იყო რეგიონში. დაინგრა საბჭოთა კავშირი, საქართველო გათავისუფლდა რუსეთის გავლენისგან. ქართველებმა 70 წლის შემდეგ მოიპოვეს დამოუკიდებლობა. თუმცა, სწორედ ამ პერიოდში დაიწყო სამოქალაქო ომი. ერთმანეთს ენაცვლებოდა გაჭირვება და შიმშილი, სიცივე და უიმედობა...

იმ ურთულეს პერიოდში, როდესაც თითქმის მიწასთან იყო გასწორებული ქვეყანა, თითქმის არავის ეცალა კულტურისთვის, ოპერის თეატრი მაინც ახერხებდა იმას, რომ არ ჩამკვდარიყო შემოქმედებითი საქმიანობა. მაშინაც იყვნენ გულშემატკივრები, ადამიანები, რომლებიც ზრუნავდნენ თეატრზე. რასაკვირველია, გულდასაწყვეტია ისიც, რომ მაშინ თეატრი დატოვა არაერთმა მომღერალმა და ბალეტის სოლისტმა. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც სპექტაკლების მიმდინარეობისას დენი გათიშულა. სიბნელესა და სიცივეში მსხდომი მაყურებელი კი რამდენიმე საათის განმვალობაში ელოდებოდა ელექტროენერგიას... ამ პერიოდში, რასაკვირველია, შემცირდა მაყურებელთა რაოდენობაც. არაერთხელ მოიხსნა საბავშვო სპექტაკლი, რადგან გაყიდულ ბილეთთა რაოდენობა არ აღემატებოდა 30-ს. თეატრი დახურვის ზღვარზე აღმოჩნდა, რადგან მცირდებოდა ბიუჯეტი.

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ყოფილი დირექტორი გვეუბნება: **„ქვეყნის იმდროინდელმა მეთაურმა, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელსაც დახმარებისთვის მივმართე, ერთი წლის ვადით გაგვანთავისუფლა ყველანაირი გადასახადებისგან. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან ჯანსუღ კახიძესთან ერთად შევთანხმდით, რომ უარი გვეთქვა პრივილეგიებზე და დავკმაყოფილებულიყავით სამი თვის განმავლობაში შემოსული თანხით. ამასთანავე, მივიღე გადაწყვეტილება, რომ ზემოხსენებული თანხები მოხმარებოდა თეატრის გათბობითა და განათებით აღჭურვას. ოპერის თეატრის მთავარმა ინჟინერმა მიხეილ დონდუამ, პროფესორ მამული გრძელიშვილთან ერთად გერმანიაში მოიძია ქარხანა, სადაც მზადდებოდა ჩვენთვის საჭირო გათბობის ქვაბები. მალევე გავემგზავრეთ ქალაქ ესენში და ერთ თვეში ქვაბები უკვე თბილისში იყო. საქვაბის მშენებლობისა და მონტაჟის პროცესმა თითქოს შეკრა თატრის მთელი კოლექტივი. რეპეტიციების დაწყებამდე თატრში მოსული მსახიობები ჯერ მშენებლობის პროცესს ათვალიერებდნენ, შემდეგ კი რეპეტიციებზე შედიოდნენ“.**

მალევე ის ნანატრი დღეც დადგა. დღე, რომელმაც ნამდვილი დღესასწაულის სახე მიიღო. დღე, როდესაც ქვაბების ამუშავება გადაწყდა, რომელიც მსახიობების ოვაციების ფონზე გადაწყდა. თუმცა, მალევე ყველასგან მოულოდნელად თეატრის ეზოში სახანძრო მანქანები გამოჩნდნენ. მეხანძრეებმა კი შეშინებული ხალხის ნაცვლად მსახიობების მხიარული სახეები დაინახეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ თაბუკაშვილის ქუჩის მცხოვრებლებმა, რომლებმაც თეატრის სახურავზე კვამლი შენიშნეს, სასწრაფოდ სახანძრო სამსახურში დარეკეს. ამ ამბის მოსმენის შემდეგ მეზობლების რეაქციის არავის გაჰკვირვებია, რადგან ისინი ერთხელ უკვე იყვნენ იმ საშინელი ხანძრის მომსწრე, რომელმაც 1973 წლის 9 მაისს მთელიანად გაანადგურა ოპერის თეატრი. ბოლოს, მსახიობებმა მეხანძრეები სუფრასთან მიიწვიეს და ერთად შესვეს თეატრის აღორძინების სადღეგრძელო.

ერთ-ერთი ყველაზე რთული დადგმა, რომელმაც ტრიუმფით ჩაიარა მაშინ, იყო **„დონ კარლოსი“**. მაშინ ჩვენთან ერთად იყო გურამ მელიავაც. **„დონ კარლოს“ ჯანსუღ კახიძე** დირიჟორობდა. მაყურებელი სპექტაკლის მიმდინარეობის დროს, რასაც სცენაზე ხედავდა, ყველაფერი ზურაბ ლომიძის თაოსნობითა და მეთვალყურეობით იყო გაკეთებული. ეს კი თეატრის გამარჯვება იყო. ზურაბ ლომიძე ბრწყინვალე ადამიანია, რომელსაც უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული. მინდა, მას დღეგრძელობა ვუსურვო და ყველაფრისთვის უდიდესი მადლობა გადავუხადო, ამბობს თემურ გუგუშვილი, საქართველოს სახალხო არტისტი

**„ჩემთვის ძალიან ძვირფას, ბატონ ზურაბ ლომიძეზე მხოლოდ სიყვარულით, მადლიერების გრძნობითა და პატივისცემით შემიძლია ვისაუბრო. მართალია, მე დიდხანს არ მომიწია ოპერაში მოღვაწეობა, რადგან იტალიაში გავემგზავრე, მიუხედავად ამისა, მე დღემდე ისევ ისეთი პატივისცემა და მადლიერება მაქვს მის მიმართ“,** — იხსენებს იანო ალიბეგაშვილი, ცნობილი მომღერალი.

**„ზურაბ ლომიძეს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ნინო ანანიაშვილის და იური გრიგაროვიჩის საქართველოში ჩამოყვანაში, მალევე საბალეტო დასის ჩართულობით დიდი წარმატებით დაიდგა „მაკნატუნა“. გარდა ამისა, ზურაბ ლომიძის დამსახურებაა ისიც, რომ ოპერაში გაკეთდა ვიდეოსტუდია, რომელიც აღიჭურვა ყველა საჭირო ტექნიკით. ბოლო 30 წლის განმავლობაში ყველა სპექტაკლი და გასტროლი გადაღებულია“,** — დასძენს გრიგოლ ჩიგოგიძე, კინოსტუდია **„პიონერფილმის“** ხელმძღვანელი

ამის შემდეგ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი არათუ გაჩერდა, პირიქით, აგრძელებს შთამბეჭდავი ისტორიის წერას. შემართებით, განახლებული საბალეტო დასით და ახალი საოპერო შემადგენლობით. გრძელდება ისტორია, რომელიც სათავეს 1851 წლიდან იღებს.

**გადის დრო, იცვლებიან თაობები, თუმცა არ იცვლება ერთი, შემოქმედებით პროცესი, რომელიც თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში წლების წინ დაიწყო.**

**ასეთია ისტორია კაცზე, რომელსაც ერთნირად უყვარდა და დღესაც უყვარს სპორტი, ეროვნული სასახლე და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი.**

**ნინი ბიჩინაშვილი**
ჟურნალისტი

ჩვენი ცნობილი მეცნიერის, დემოგრაფის, პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის ანზორ თოთაძის თავაზიანი თხოვნით ვბეჭდავთ მის ერთ-ერთ ცნობილ პოლემიკურ წერილს, რომელმაც ამ ოცი წლის წინათ დიდი აურზაური გამოიწვია. მკითხველი ადვილად მიხვდება ა. თოთაძის ერთობ ტაქტიანი კრიტიკის დღევანდელ მიზანშეწონილობას...

დარწმუნებული ვართ, დიდმა რეჟისორმა მაშინდელი შეფასება-გამოხმაურებები, რომელიც მის ინტერვიუს მოჰყვა ნაცების გაზეთ „24 საათში", „ვეფხისტყაოსნის" ახალი დადგმის დროს გაითვალისწინა და მაყურებელს რუსთველის კოსმიური პოემის მხოლოდ თავისებური, „დედამიწისეული" ფრაგმენტები შესთავაზა.

სტურუას ასე ესმის, სტურუა ასე ხედავს!.. მორჩა და გათავდა. ამ შემთხვევაში მთავარი ისიც არის, რომ სტურუა და თოთაძე ასაკით თანატოლები არიან. ასე რომ, დღესაც ნაღდია გამოთქმა „ბებერი ხარისა რქანიცა ხნავენო!.."

**„სრ"-ის რედაქცია**

„მეჩვენება, რომ „ვეფისტყაოსანი" არის ირონიული ნაწარმოები ქართულ ზნე-ჩვეულებებზე, რადგანაც ავტორი პირდაპირ ვერ წერს ქართველების სიმდაბლეზე, რომანტიზმით უკეთებს კონტრასტს ჩვენს ცხოვრებას, ქართველი რომ კითხულობს, პრინციპში უნდა გაეცინოს, არ უნდა დაიჯეროს ტექსტი. წარმოიდგინეთ, ისეთი პოლიტიკური მდგომარეობა იყო, რომ პირდაპირ საქართველოც ვერ ახსენა და შემოიყვანა არაბები, ინდოელები".

„ნაწარმოებს" დგამს იმისათვის, რომ აუხსნას ქართველებს ეს იდიოტიზმი. არ შეიძლება დაიჯერო, რომ ეს არის შენი ენციკლოპედია, რომელიც გამოხატავს ქართულ სულს... არანაირ ქართულ სულს არ გამოხატავს, რადგან ლაპარაკია მხოლოდ იდეალებზე, რომანტიზმზე და არც ერთი სიტყვა არაა სამართლისა. პერსონაჟი, რომელიც ყველაფერს აბითურებს, ცინიკოსი კი არა, მეცნიერია, რომელიც შეწუხებულია იმით, თუ რატომ ითვლება ეს წიგნი ქართული პოეზიის, აზროვნებისა და ფილოსოფიის ერთადერთ შედევრად. ამ გაოგნებაში ნელ-ნელა გვებადება აზრი, რომ ეს კაცი რაღაცას გვატყუებს, გვიშლის, ბოლომდე მივყვეთ ამბავს, სიუჟეტს, ყველაფერს ხვდები, რომ მისი ეს უარყოფა შენში იწვევს თანაგრძნობას, სიყვარულის სურვილს. მოკლედ, ეს კაცი სპეციალურ ხერხს მიმართავს იმისთვის, რომ შეგაყვაროს ნაწარმოები".

„ვინც კი ცხოვრებაში შემხვედრია ქართველი დრამატურგებიდან, ყველაზე მეტად მომწონს ლაშა ბუღაძე". „სერიოზულად რომ ჩავფიქრდეთ ბევრ კითხვაზე, პასუხს ვერ ვიპოვით. რას სჩადიან გმირები, ან რას თხოულობენ მათი შეყვარებულები, ეს ხომ აბსოლუტური უაზრობაა, სადღაც გარბიან, ტირიან, ვიღაცას უსამართლოდ კლავენ, ვეფხვებს ხოცავენ, სრული ქაოსია".

**რობერტ სტურუა;**

გაზეთი „24 საათი", 15 თებერვალი, 2003.

# „ვეფხისტყაოსანი" ქართველთა სიმდაბლეზე დაწერილი ნაწარმოებია?

## ანუ რობერტ სტურუას წყლის ნაყვის ინდუსტრია





**დიდი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „თვითრწმენა გამარჯვების ნახევარიაო". თუ დააჯერეთ ხალხი, რომ არც მისი წინაპარნი ვარგებულან, არც თვითონ აქვს რამე და არც იმის ჩამომავლობა შექმნის რასმე თვალსაჩინოს, თუ მოვუშალეთ რწმენა და იმედი, მისი დღეები დათვლილია. ბედის მორჩილება – აი, მისი მომავალი...**

**...თუ ერმა ოც საუკუნეში მართლა ვერაფერი შექმნა და ოცდამეერთეში განგაში ატეხა – ახლა კი მთელს ქვეყანას გავაოცებთო, ნუ დაიჯერებთ. დამჩაგრებულს, გაგერწებულსა და გამოწურულ ხალხს აზრის შეცვლა ვეღარაფერს უშველის".**

ჩვენ კი რას ვაკეთებთ? იმის მაგივრად, რომ ყურად ვიღოთ წინაპართა შეგონებები, რაც ძალი და ღონე გვაქვს ვცდილობთ, იმედი და რწმენა მოვუშალოთ ქართველ ხალხს და მხოლოდ და მხოლოდ **„ვიფიქროთ იმაზე, რომ კარგი თვისებები ძალიან ცოტა გვაქვს" (რ. სტურუა).** თუ ჩვენი ერის ცხოვრების მაჯისცემას მოვუსმენთ, ნათლად ჩანს, რომ ეროვნული გადაგვარების მახვილი მიმართულია ახალგაზრდობის წინააღმდეგ, ჩვენს ხვალინდელ დღეზე. ამისათვის კი არავითარ საშუალებას არ ერიდებიან უცხოელი თუ შინაური ავისმოსურნენი. მათი, საკმაოდ შენიღბული, პროგრამის განხორციელებით ხელიდან გვეცლება ეროვნული საყრდენი.

ყოველივე ამას ემატება ეროვნული თვალსაზრისით მეტად საშიში მოვლენა: დავიწყეთ ეროვნული მოღვაწეების განქიქება, იმ ადამიანების აუგად მოხსენიება, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს ქართული ცნობიერების განმტკიცებისა და ფორმირების საქმეში, საერთოდ ჩვენს წარსულ ცხოვრებაში. ერი, მით უმეტეს მცირერიცხოვანი, თვალისჩინივით უნდა უფრთხილდებოდეს თავის ავტორიტეტებს, ღირსეულად უნდა აფასებდეს მათ ამაგსა და ღვაწლს შთამომავლობის წინაშე. ერის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა თავისი ღირსეული წინაპრების მიერ დატოვებული მდიდარი მემკვიდრეობის მოვლა და გათავისება. ეს მისია ქართველმა ხალხმა ღირსეულად შეასრულა და გაუძლო ჟამთა განსაცდელს. მაგრამ ბოლო ათწლეულში ფეხქვეშ გვეცლება ეროვნული ნიადაგი. „ზნეობრივი აბურდულობის" ჟამს მოსყიდულ თუ უტიფარ ადამიანთა გამოისობით უზნეობის ზეიმის შემყურენი, ჩვენი გულგრილობით, ამ ზეიმის თანამონაწილენიც ვხდებით.

ეროვნული თვალსაზრისით მეტად საშიშია, როდესაც სკეპტიკურ მოსაზრებებს გამოთქვამენ ცნობილი მოღვაწეები. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვყავს დიდი ქართველი რეჟისორი ბატონი **რობერტ სტურუა,** რომელიც დგამს რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს", მაგრამ ვერ გაუგია ამ ხელთუქმნელი პოემის სიდიადე და ზოგ შემთხვევაში მეტად არასწორ, რბილად რომ ვთქვათ, დამაკნინებელ მოსაზრებებს გამოთქვამს პოემის შესახებ.

პირადად უხერხულად მეჩვენება, ბატონო რობერტ, თქვენი გადაწყვეტილეგა იმის შესახებ, რომ ქართველმა რეჟისორმა მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტეთ „ვეფხისტყაოსნის" დადგმა, რაც პეტერბურგში მეგობრების წრეში გაცნობილი ერთი პოეტესა, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს პწკარედით თარგმნოს რუსთაველის პოემა და არსებულ თარგმანებთან ერთად გამოსცეს, აღფრთოვანებული იყო „ვეფხისტყაოსნით". როდესაც ასეთ დიდ საქმეს ეჭიდებით, იქნებ ჯობდა, უპირველესად ჩვენს ქართველ, საკმაოდ ძლიერ რუსთველოლოგებთან გქონოდათ კონსულტაციები. მჯერა, მაშინ გაცილებით ადრე იტყოდით, რომ „უნდა დავდგა „ვეფხისტყაოსანი". ასეთ შემთხვევაში, უფრო მეტ ინფორმაციასაც მიიღებდით რუსთაველთან აღნუსხული ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს შესახებ, რასაც თქვენ, „ვიქტორ ნოზაძის წიგნით მიხვდით". ერთი წუთითაც არ ვაპირებ ვიქტორ ნოზაძის ღვაწლის დაკნინებას რუსთველოლოგიის სფეროში, მაგრამ მისი „მზისმეტყველება", „ფერთამეტყველება" და სხვა, უფრო ნაკლებად იძლევა ამის საშუალებას, ვიდრე საქართველოში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა შრომები. ბატონ რობერტ სტურუას მის მეტად ვრცელ ინტერვიუში ერთი სიტყვაც არ დასცდა პოემის მუსიკალურობაზე, რუსთაველის ლექსის მელოდიურობასა და ჰარმონიულობაზე, რითაც იგი „პოლიფონიური ხალხური მუსიკის ჟღერადობას გვაგონებს". გიორგი წერეთლის ფუნდამენტურ ნაშრომში „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში" დასაბუთებულია, რომ „ოქროს კვეთის", ანუ „ღვთაებრივი პროპორციის" გამოვლენა მის ავტორს სრულიად განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს მსოფლიო პოეზიის ისტორიაში.

არ მინდა დავიჯეროთ, რომ ბატონი რობერტ სტურუა ვერ გრძნობდეს „ვეფხისტყაოსნის" რითმას თავისი სიმდიდრით, ჟღერადობითა და მუსიკალობით, სადაც „ყოველი სარითმო კლაუზულა მუსიკალურ აკორდს ემსგავსება". კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ რას უპირებს იგი თექვსმეტმარცვლიანი შაირის ფორმას, სტურუა პასუხობს: „რაც გასაგებია, ვტოვებ, რაც გაუგებარია, ვყრი". გადასაყრელი რუსთაველს არაფერი აქვს, ხოლო რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის" დადგმას, რეჟისორს, რა თქმა უნდა, შეუძლია შეამოკლოს შინაარსი, რაც მისთვის გაუგებარია. კიდევ უფრო მეტ გაკვირვებას იწვევს ბატონ რობერტის მიერ მიცემული ინტერვიუს დასასრული: „ვეფხისტყაოსანში ყველაზე მეტად ეპილოგი მომწონს (არა იმიტომ, რომ დასასრულის მაუწყებელია), უაღრესად პოეტური, სადა სიბრძნის გამო". აქ შემთხვევით არ ზის სიტყვები „არა იმიტომ, რომ დასასრულის მაუწყებელია" ფრჩხილებში, რაც ცნობილ რეჟისორს არაფერს მატებს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ ვრცელ პოემაში ბატონმა რობერტმა მეტი პოეტურობა და სიბრძნე ვერსად დაინახა. მე და, ალბათ, ბევრ ქართველსაც, გულწრფელად გვგონია, რომ მხოლოდ ავთანდილის ანდერძიც რომ გადარჩენოდა ჟამთა სიავეს, მისი ავტორის სიდიდეს ბევრი არაფერი დააკლდებოდა. მინდა, ბატონ რობერტს შევახსენო, რომ ამჟამად გავრცელებული მოსაზრების თანახმად ეპილოგი რუსთაველს არ ეკუთვნის, მისი ავტორი ვინმე მესხი მელექსეა, რომელიც წერს რუსთაველის კვალობაზე, მისი მიხედვით, თუმცა პოეტი ეპილოგში კითხვით ფორმას (რაც ძველ ქართულში საკმაოდ გავრცელებული იყო) იყენებს: ვწერ ვინმე, მესხი, მელექსე, თუ ეს ასეა, მაშინ ეს მესხი მელექსე წარმოშობით რასთაველის დაბიდან იყო. ბატონ რობერტ სტურუას ინტერვიუდან ჩანს, რომ მას რუსული სკოლა დაუმთავრებია და როდესაც მოგვიანებით ქართულად „ვეფხისტყაოსანი" წაიკითხა, სიუჟეტის ცოდნის მიუხედავად, მისი გაგება ძალიან გაუჭირდა. ვერც შემდეგ გაიგო, რატომ არის დიდი „ვეფხისტყაოსანი". რეჟისორის გულწრფელი აღიარებით, ახლაც უნდა ამის გაგება.

ბატონო რობერტ, თუ რუსული სკოლის დამთავრება ამაში ხელს გიშლით, არსებობს „ვეფხისტყაოსნის" შ. ნუცუბიძისა და ნ. ზაბოლოცკის შესანიშნავი რუსული თარგმანები. ქართველი ხალხი შექსპირს, ბაირონს, გოეთესა და სხვა უდიდეს მოაზროვნეებს ხომ თარგმანის საშუალებით გაეცნო. არა მგონია, თქვენ „ნიბელუნგები" დედანში გქონდეთ წაკითხული, მაგრამ ამან ხელი არ შეგიშალათ გეთქვათ: „ნიბელუნგების" სიღრმეებს „ვეფხისტყაოსანს" ვერ შევადარებ, აფორიზმში კი არის სიბრძნე, მაგრამ..." ბატონო რობერტ! მაგრამ რა? „ვეფხისტყაოსანი" ისეთი დაბალი დონის ნაწარმოებია, რომ „ნიბელუნგების" სიღრმეებს ვერ შეედრება და მისი აფორიზმების სიბრძნეც საეჭვოა? თქვენი ინტელექტი, არა მგონია, ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს გაძლევდეთ. მაშ, რა ხდება?

სამწუხაროდ, წინ უარესი მოგველის. ბატონი რობერტ სტურუა ჟურნალისტის ერთ-ერთ კითხვაზე პასუხობს: მეჩვენება, რომ „ვეფხისტყაოსანი" არის „ირონიული ნაწარმოები ქართულ ზნედაცემულობებზე, რადგანაც ავტორი პირდაპირ ვერ წერს ქართველების სიმდაბლეზე, რომანტიზმით უკეთებს კონტრასტს ჩვენს ცხოვრებას, ქართველი რომ კითხულობს, პრინციპში უნდა გაეცინოს, არ უნდა დაიჯეროს ტექსტი. წარმოიდგინეთ, ისეთი პოლიტიკური მდგომარეობა იყო, რომ პირდაპირ საქართველოც ვერ ახსენა და შემოიყვანა არაბები, ინდოელები". ბატონო რობერტ, თუ ამას თქვენ გულით წერთ და რაღაც შინაგანი დაფარული გრძნობა არ გამოძრავებთ, მაშინ პირდაპირ გეტყვით, რომ თქვენ არც ქართველთა ზნე-ჩვეულებებზე გაქვთ წარმოდგენა და არც საქართველოს ისტორიას იცნობთ ჯეროვნად. რა ქართველთა სიმდაბლეზე გსურთ დაწეროს რუსთაველმა XII საუკუნეში, როდესაც თვით რუსთაველი არსებობს, როდესაც თამარი მეფობს, ჩახრუხაძე, ბეშქენ და ბექა ოპიზრები მოღვაწეობენ, შენდება ქალაქები, ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები, მოსახლეობა მრავლდება, გლეხები თავიანთი პატრონის მსგავსად იმოსებიან, როდესაც უქმდება სიკვდილით დასჯა, იქმნება პარლამენტის მსგავსი დაწესებულება, ქვეყანა პატრონობს ქვრივ-ობლებს... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. რატომ გგონიათ, ან საიდან მოიტანეთ, რომ ქართველმა პოემის კითხვისას უნდა გაიცინოს და არ უნდა დაიჯეროს ტექსტი? ქართველი კაცი „ვეფხისტყაოსანს" მთლიანად ან მის ცალკეულ თავებს ზეპირად სპორტული ჟინის მოსაკლავად კი არ სწავლობდა, არამედ იმისათვის, რომ პოემაში ქართველი ხალხის სულიერი



ცხოვრებაა ასახული მიუწვდომელი პოეტური ძალით, იმისათვის, რომ რუსთაველმა უმღერა მეგობრობას, გრძნობის თავისუფლებას, ადამიანის ღირსების ამაღლებულ სიყვარულს, საკაცობრიო იდეალებს, იმ იდეალებს, რაც შემდეგში საფუძვლად დაედო რენესანსულ კულტურას. მან დაგვიტოვა ყველაფრით შემკული მშვენიერი სამყარო, სადაც ქალი ყოველმხრივ სრულყოფილ ადამიანად არის მიჩნეული, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო შუა საუკუნეების ისტორიაში. „ვეფხისტყაოსანი“ ასულდგმულებდა ქართველ კაცს ლხინში და უდიდესი გაჭირვების ჟამსაც.

მეფე-პოეტი არჩილი სამართლიანად ალაპარაკებს რუსთაველს: „საქართველო სავსე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუხს, ვის ლხინი აქვს, მას უბნობენ, ანუ ვისცა გული უწუხს“. „ამიტომაც უყვარს და აფასებს ქართველი კაცი თავისი ხალხის შემოქმედებითი გენიის უბადლო მხატვრულ დოკუმენტს“ (ალ. ბარამიძე).

ბატონო რობერტ! რაც შეეხება თქვენს მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს XII საუკუნეში ისეთი პოლიტიკური მდგომარეობა იყო, რომ რუსთაველმა პირდაპირ საქართველოც ვერ ახსენა და შემოიყვანა არაბები და ინდოელები, ეს უკვე სასკოლო პროგრამის საკითხია და უხერხულია ამაზე საუბარი. უხერხულია თუნდაც იმიტომ, რომ არავითარი ასეთი პოლიტიკური მდგომარეობა არ იყო იმ პერიოდის საქართველოში და თქვენ ეს უნდა იცოდეთ. მსოფლიოს გენიოსთა ნაწარმოებებშიც ხშირად შეხვდებით ანალოგიურ ფაქტებს, რა თქმა უნდა, სხვადასხვა მიზეზით განპირობებულს. ამ ასპექტში მთავარი ისაა, რასაც ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს შექსპირის შესახებ:

> **„მითამ შექსპირს განა იმითი იწუნებს ვინმე და, პირიქით, განა იმით არ ადიდებენ ყველანი და მსოფლიო გენიოსად არა სთვლიან, რომ კაცად-კაცნი გამოჰყავანდა თავის სახელოვანს დრამებში და არა შოტლანდიელი, ვალიელი და ინგლისელი... ვიწრო მოედანი მარტო პატარა ფალავნის სარბიელია და არა იმისთანა გოლიათისა, როგორიც შექსპირია და თუნდა ჩვენი რუსთაველიცა. რუსთაველის ტიპებს იმ პაწია ჯუჯრუტანიდან სინჯვა კი არ უნდა, საიდანაც მარტო ქართლელი, კახელი, იმერელი თუ სხვა ცალკე სახელ-წოდებული კაცი დაინახება, არამედ იმ უშველებელი სარკმლიდამ, რომ მთელს კაცად-კაცობას თვალი გადევლებოდეს, მის სრულს სიგრძე-სიგანესა და სიღრმე-სიმაღლეზედ“.**

„ვეფხისტყაოსნის“ დადგმა მეტად რთული საქმეა. ბატონმა რობერტ სტურუამ ბეწვის ხიდზე რომ გაიაროს, ის იგონებს პერსონაჟს, რომელიც ვერ იტანს ამ წიგნს, მაგრამ, როგორც თავად აცხადებს,

> **„ნაწარმოებს დგამს იმისათვის, რომ აუხსნას ქართველებს ეს იდიოტიზმი. არ შეიძლება დაიჯერო, რომ ეს არის შენი ენციკლოპედია, რომელიც გამოხატავს ქართულ სულს... არანაირ ქართულ სულს არ გამოხატავს, რადგან ლაპარაკია მხოლოდ იდეალებზე, რომანტიზმზე და არც ერთი სიტყვა არაა სიმართლისა. პერსონაჟი, რომელიც ყველაფერს აგითურებს, ცინიკოსი კი არა, მეცნიერია, რომელიც შეწუხებულია იმით, თუ რატომ ითვლება ეს წიგნი ქართული პოეზიის, აზროვნებისა და ფილოსოფიის ერთადერთ შედევრად. ამ გაოგნებაში ნელ-ნელა გვებადება აზრი, რომ ეს კაცი რაღაცას გვატყუებს, გვიშლის, ბოლომდე მივყვეთ ამბავს, სიუჟეტს, ყველაფერს ირონიულ კომენტარს უკეთებს, გმირებიც სულ კონფლიქტში არიან მასთან და ბოლოს, უცბად ხვდები, რომ მისი ეს უარყოფა შენში იწვევს თანაგრძნობას, სიყვარულის სურვილს“. მოკლედ, ეს კაცი „სპეციალურ ხერხს მიმართავს იმისათვის, რომ შეგაყვაროს ნაწარმოები“.**

მართლაც, იშვიათ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ჯერ ერთი, მე მგონი, გაგიჭირდებათ ისეთი კაცის მონახვა, რომელიც ვერ იტანს „ვეფხისტყაოსანს“, მაშასადამე, ასეთი პერსონაჟის გამოგონებაც არ არის საჭირო. მეორეც, თუ მოტანილი, საკმაოდ ბუნდოვანი, ციტატის მიხედვით ყველაფერი იმისათვის კეთდება, რომ შეგვაყვაროს „ვეფხისტყაოსანი“, მაშინ ეს სხვა არაფერია, თუ არა წყლის ნაყვა ან, როგორც მიხეილ ზოშჩენკო იტყოდა, **„წყლის ნაყვის ინდუსტრია“**, რადგან ქართველი კაცი „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარულში არასოდეს დაეჭვებულა. ილია ჭავჭავაძის თქმით, ხომ ერმა მას **„შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩაახვია სული და გული, შიგ ჩააწნა თავისი უკეთესნი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი“.**

ინტერვიუში ბევრი სხვა საკითხიც არის



**„სერიოზულად რომ ჩავფიქრდეთ, ბევრ კითხვაზე პასუხს ვერ ვიპოვით. რას სჩადიან გმირები ან რას თხოულობენ მათი შეყვარებულები, ეს ხომ აბსოლუტური უაზრობაა, სადღაც გარბიან, ტირიან, ვიღაცას უსამართლოდ კლავენ, ვეფხვებს ხოცავენ, სრული ქაოსია“.**

განხილული, რომლებიც ვეფხისტყაოსანს არ შეეხება. შეიძლება ზოგი რამ ცნობილი რეჟისორის პასუხებში ჩვენთვის მიუღებელი იყოს, მაგრამ ამის გამო, რა თქმა უნდა, ეს წერილი არ იწერება. მაგალითად, შეიძლება დაეთანხმო ან არ დაეთანხმო ბატონ რობერტ სტურუას ნათქვამს: **„ვინც კი ცხოვრებაში შემხვედრია ქართველი დრამატურგებიდან, ყველაზე მეტად მომწონს ლაშა ბუღაძე“**. ცხოვრებაში არა მგონია რობერტს არ შეხვედროდეს დიდი დრამატურგი პოლიკარპე კაკაბაძე, მაგრამ ეს მისი პირადი აზრი და პრობლემაა და ამ შემთხვევაში პატივი ვცეთ მას. მაგრამ განა შეიძლება „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ასეთი მოსაზრების გამოთქმა:

**„სერიოზულად რომ ჩავფიქრდეთ, ბევრ კითხვაზე პასუხს ვერ ვიპოვით. რას სჩადიან გმირები ან რას თხოულობენ მათი შეყვარებულები, ეს ხომ აბსოლუტური უაზრობაა, სადღაც გარბიან, ტირიან, ვიღაცას უსამართლოდ კლავენ, ვეფხვებს ხოცავენ, სრული ქაოსია“.**

ბატონო რობერტ, ეს ხომ პოემის სიუჟეტის უაღრესად პრიმიტიული გაგებაა. რა დაგიშავეთ, რომ ასეთ უხერხულ მდგომარეობაში მაყენებთ და იძულებულს მხდით, ავხსნა სკოლის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები. მაგრამ ამ უხერხულობას მაინც გვერდი უნდა ავუარო, რადგან ეს სასკოლო მასალაც ყველა ქართველისთვის ცნობილია. ასე რომ მივყვეთ, დონ-კიხოტს რა ქარის წისქვილებთან ბრძოლის ჟინი აუტყდა ან ოტელო ცხვირსახოცს რას გადაეკიდა? ასე ნამეტანი შორს წახვალთ და არ არის სასურველი.

კიდევ ვიმეორებ იმას, რის შესახებაც ყოველი ქართველი მოვალეა განაცხადოს: არავის აქვს უფლება, დააკნინოს „ვეფხისტყაოსანი“. თუ იმაშიც ვერ გავერკვიეთ, რას ნიშნავს ჩვენთვის ეს ხელთუქმნელი ძეგლი, მასში ქართველი ერის უმაღლესი იდეალები ვერ დავინახეთ, თუ მისი უდიდესი სიბრძნე ვერ შევიგრძენით, რომლითაც აგერ უკვე 800 წელია საზრდოობს თაობები, მაშინ თვითმყოფადობის დაკარგვის, ეროვნული გადაგვარების წინაშე ვდგავართ და არც „ვეფხისტყაოსნის“ დადგმა გვიშველის, მით უმეტეს იმ რეჟისორის მიერ, რომელიც ასე მარტივად და პრიმიტიულად ხედავს პოემის მთავარ პრობლემებს.

ასეთი გადაგვარების საფრთხის წინაშე კი ნამდვილად ვდგავართ. ხუთი თვეა, რაც ბატონ რობერტ სტურუასთან ინტერვიუ გამოქვეყნდა და ყური არავინ შეიბერტყა – დამუნჯებული ველოდებით მოვლენების განვითარებას. განა განგაშის ზარის შემოკვრის უნარიც დავკარგეთ? ან იქნებ ეს იმის შედეგიც არის, რომ ქართული მასმედიის საეჭვო მოღვაწეობამ მკითხველის ყური გახედნა არამფრისმთქმელი, სენსაციური, უაღრესად პოპულისტური, ეროვნული პრობლემებისგან დაწრეტილი პუბლიკაციებით და ამით გზა გაუხსნა ჩვენს ქვეყანაში უცხო ქვეყნების ინტერესებს და, მაშასადამე, მოსყიდული უცხო თესლისა და მოდგმის წარმომადგენლებს, ერის მოღალატეებს, უბედურება ის არის, რომ ამის ანალიზის უნარიც დავკარგეთ. ყოველივე აღნიშნულის გამო, ხომ არ მოხდა იმათი ატროფირებაც, ვინც მოწოდებული უნდა იყოსმ ბატონ რობერტ სტურუას ინტერვიუსთან დაკავშირებით რეაგირება მოეხდინა? თუ ეს ასეა, მაშინ ეს არის ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობის დასასრული, დიდი ეროვნული ტრაგედია. 1920 წელს ინგლისის პრემიერ-მინისტრი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჯეიმს რემზი მაკდონალდი, რომელმაც დამოუკიდებელ საქართველოში იმოგზაურა, წერდა:

> **„თუ ერთა თავისუფლება ცარიელი სიტყვა არ არის, თუ რომელიმე ერს ეკუთვნის თავისუფლება, ეს არის ქართველი ერი, რომელმაც დაუმტკიცა მთელ კაცობრიობას თავისი მაღალი კულტუროსნობა და პოლიტიკური სიმწიფე. მე გავეცანი მის კონსტიტუციას, მის სოციალურ და ეკონომიკურ აღმშენებლობას, და რაც მე იქ ვნახე, ვისურვებდი ასე მოწყობილი მენახოს ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში“** (კარლო ინასარიძე. პატარა „ოქროს ხანა“, 1918-1921, მიუნხენი, 1984 წელი. გვ. 399).

ახლა კი რა დაგვემართა? წამდაუწუმ ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში დავრბივართ და იქ ჩვენს ნაკლოვანებებსა და გადაუწყვეტელ პრობლემებს მხოლოდ და მხოლოდ პირადი ინტერესების გამო დიდი აღფრთოვანებით აფიშირებას ვუკეთებთ.

ჯეიმს ბეიკერის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა ისიც კი განაცხადა: მე და ბეიკერი შევთანხმდითო. კაცს ეგონება ბავშვობაში ერთად ეთამაშოთ რიკტაფელა.

* * *

> **„ვეფხისტყაოსანი“ ქართული სულიერების სიმაღლეა და ამ სიმაღლის ეჭვქვეშ დაყენება არავის ეპატიება.** დიდი ილია ბრძანებდა: **„ჩვენ რუსთაველის სახელი მეტისმეტად დიდ სახელად მიგვაჩნია და მოგვიტევონ, რომ მის სახელს და დიდებას ადვილად ვერავის დავუთმობთ“.**
>
> ბატონ რობერტ სტურუასთან ინტერვიუს დასაწყისში მოყვანილი პიტერ ბრუკის გამონათქვამი: „შექსპირი მწვერვალია, რომლის ფერდობები მოფენილია რეჟისორებისა და მსახიობების გვამებით“. **რუსთაველიც მწვერვალია, რომელსაც ჯერ ვერავინ შებედა და მის ფერდობებზე თუნდაც პირველ გვამად ყოფნა, სახელს არავის შემატებას.**



**ანზორ თოთაძე,**
**პროფესორი.**

# 5 დღე-ღამე თბილისიდან მარტვილამდე ფეხით გაიარა!



**20 წლის შემდეგ შეძენილი ნანატრი შვილი და შესრულებული პირობა. ილია არჩუაძეს და ირინა ფარულავას ოჯახს 20 წლის განმავლობაში შვილი არ ჰყავდათ.**

ილიამ დადო პირობა თუკი ოდესმე შვილი შეეძინებოდათ, თბილისიდან მარტვილამდე ფეხით ჩააბრძანებდა მამა გაბრიელის ხატს.

**„20 წლის განმავლობაში შვილი არ გვყავდა. დავდე ტაძარში პირობა, თუ მე და ჩემს მეუღლეს ბავშვი შეგვეძინებოდა, თბილისიდან მარტვილამდე ფეხით ჩამოვაბრძანებდი მამა გაბრიელის ხატს.**

**როცა გავიგე, რომ მამა გავხდებოდი, რა უნდა გამეკეთებინა, რა უნდა გამეაზრებინა, არ ვიცოდი. გავიყინე ადგილზე... სასწაულად გაგვიხარდა კი არა, მთელი სანათესაო ვტიროდით. ყველაზე მეტად ის მინდოდა, რომ ჩემი მეუღლე გამხდარიყო დედა“...**

**ილიამ პირობა შეასრულა და 5 დღე-ღამე მარტვილამდე ფეხით იარა!**

# საქართველოში 2025 წელს, 32 ბავშვი გაშვილდა!



**სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ინფორმაციით, 2025 წელს საქართველოში 32 ბავშვი გაშვილდა. მშვილებელ პირთა რაოდენობა კი 1575-ს შეადგენდა.**

**სააგენტოს ცნობით, გასული 2025 წლის მონაცემების მიხედვით, გასაშვილებელი სტატუსის მქონე 59 ბავშვი იყო.**

# უპრეცედენტო სტანდარტი უსინათლოებისთვის

**რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინიციატივით და მერიის მხარდაჭერით, რუსთავის ისტორიულ მუზეუმში უპრეცედენტო პროექტის განხორციელება დაიწყო, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაცია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მედია პოზიტივი“ ახორციელებს,** – ინფორმაციას რუსთავის საკრებულოს პრესსამსახური ავრცელებს.



პროექტის დასრულების შემდეგ რუსთავის ისტორიული მუზეუმი გახდება საქართველოში პირველი მუზეუმი, რომელიც სრულად იქნება ადაპტირებული და გახმოვანებული აუდიოდისკრიფციის სტანდარტით, რაც არა მხოლოდ ინკლუზიური ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს, არამედ უამრავ ადამიანს მისცემს შესაძლებლობას აუდიოაღწერით გაეცნონ მუზეუმის ექსპონატებს.

აუდიოდისკრიფცია ქმნის სივრცის წარმოდგენას, რომელიც ეხმარება უსინათლო და მცირემხედველ ადამიანებს აღიქვან სივრცე, ობიექტები, არტეფაქტები და დეტალები. აღწერს ფორმას, ფერს, ზომას, განლაგებას და გადასცემს ვიზუალური ატმოსფეროს სრულ სურათს.

სამუშაოების მიმდინარეობის ეტაპები საკრებულოს დეპუტატებმა, რუსთავის ისტორიული მუზეუმის დირექტორმა და ორგანიზაციის წევრებმა სამუშაო შეხვედრის ფორმატში განიხილეს. პროფესიული აუდიოდისკრიფცია ქართულ და ინგლისურ ენებზე შეიქმნება. აუდიომასალები ხელმისაწვდომი იქნება ცღ კოდების მეშვეობით, რაც ვიზიტორებს შესაძლებლობას მისცემს მარტივად მიიღონ დეტალური ინფორმაცია ექსპონატების შესახებ.

სამუშაო შეხვედრა რუსთავის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები **მარინა ლიპარტელიანი, მიხეილ მუზაშვილი, გიორგი კოკაია,** საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ლელა ლუარსაბიშვილი,** კომისიის წევრი **სოფიო მაჭარაშვილი** და რუსთავის ისტორიული მუზეუმის ხელმძღვანელი **ნაზი პაჭიკაშვილი** ესწრებოდნენ.

**„აშშ-ირანის კრიზისს პიკისთვის ჯერ არ მიუღწევია: იქმნება შთაბეჭდილება, რომ დიპლომატიური ნაბიჯების მიუხედავად, ომი უფრო გამწვავდება“** – ასეთი სათაური აქვს ბრიტანულ გაზეთ **„ფაინენშელ თაიმსში“ (Financial Times)** გამოქვეყნებულ სტატია, რომლის ავტორია გიდეონ რიჩმანი, პოლიტიკური მიმომხილველი.

**„თუ აშშ-ისრაელ-ირანის ომში ხანგრძლივი პაუზა გამოცხადდება, ასეთი სიტუაცია კიდევ უფრო დიდ პრობლემას გააჩენს. ბაზრები მზად არ არიან გაჭიანურებული მოლაპარაკებისათვის, რომლის ხანგრძლივობა შეიძლება თვეები გაგრძელდეს. შესაბამისად, პანიკა მოიმატებს. აშშ-ისა და ირანის უნდობლობა კრიზისს არამარტო ახლო აღმოსავლეთში აღრმავებს, არამედ მთელ მსოფლიოშიც“,** – ასეთია მასალის დედააზრი.

**გთავაზობთ პუბლიკაციას შემოკლებით:**

FINANCIAL TIMES



# ამერიკა-ისრაელ-ირანის ომი უფრო გამწვავდება!!!

**ტერმინი „ომის ნისლი“ საკმაოდ კარგად არის ცნობილი სამხედრო ისტორიიდან: როცა მოწინააღმდეგეებმა, ბრძოლის ველზე არტილერიის მოქმედების შედეგად გაჩენილი სქელი კვამლის გამო, არ იციან ერთმანეთის მდგომარეობა და მის გაფანტვას ელოდებიან. დღეს კი აშშ და ირანი მსოფლიოს ახალ კონცეფციას აცნობენ – „მშვიდობის ნისლის“ სახით.**

აშშ-ისრაელსა და ირანს შორის მიმდინარე კონფლიქტში თითქოსდა ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი მოქმედებს, მაგრამ ის ძალიან მყიფეა და მისი ბედი გაურკვეველია. ისლამაბადში გამართული სამშვიდობო მოლაპარაკების პირველი რაუნდი ფაქტიურად ჩაიშალა. მიმდინარე კვირა იმით დაიწყო, რომ გავრცელდა ინფორმაცია – ისლამაბადში მხარეები ერთმანეთს ისევ შეხვდებიან. მაგრამ გაგრძელდება ცეცხლის შეწყვეტის ვადა? იტყვის თუ არა ირანი უარს ურანის გამდიდრებაზე? რა პერსპექტივა აქვს ჰორმუზის სრუტეში ნაოსნობის განახლებას – გაიხსნება თუ ისევ დახურული დარჩება?

ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ ვის და როდის დაუსვამთ ამ კითხვებს. ვითარება ისეთია, რომ „მშვიდობა ნისლშია გახვეული“: გავიხსენოთ, რომ დონალდ ტრამპმა 17 აპრილს საზეიმოდ გამოაცხადა, რომ „ირანი დათანხმდა ჰორმუზის სრუტეს არასოდეს აღარ დახურავს“, მაგრამ აშშ-ის პრეზიდენტის დაუკითხავად თეირანმა მეორე დღეს ისევ დახურა. ამჟამად ჰორმუზი ორმაგად არის ბლოკირებული: ირანი სხვა ქვეყნების გემებს ბლოკავს და მათ სრუტეში არ უშვებს, აშშ კი სრუტიდან ირანის გემებს გამოსვლის შესაძლებლობას არ აძლევს. როცა ასეთ „ნისლიან მშვიდობას“ ვაკვირდებით, ჩვენ მხოლოდ მკითხაობა შეგვიძლია, თუ რა მოხდება სამომავლოდ.

კარგი ახალი ამბავი იმით გამოიხატება, რომ როგორც აშშ-ს, ისე ირანსაც გულწრფელად სურთ სამშვიდობო შეთანხმების დადება. ირანელებს კარგად ესმით თავიანთი მოწყვლადობა აშშ-ის დაბომბვების მიმართ. ასევე ამერიკელებიც კარგად აცნობიერებენ, თუ რა მოჰყვება ჰორმუზის სრუტის ბლოკირების გაგრძელებას მსოფლიო ეკონომიკისათვის. ცუდი ამბავი იმით გამოიხატება, რომ მხარეები ერთმანეთს არ ენდობიან და ძველებურად უთანხმოება აქვთ ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხის მიმართ – ურანის გამდიდრებაზე, ირანის სარაკეტო პროგრამაზე, თავისუფალ ნაოსნობაზე, სანქციების შერბილება-გაუქმებაზე, ლიბან-ისრაელის სამომავლო ურთიერთობაზე და, ბოლოს, ირანის რეგიონული მარიონეტებისადმი („ჰამასი“, „ჰეზბოლა“…) მხარდაჭერაზე.

ჩვეულებრივ სიტუაციაში ამ პრობლემების გადაწყვეტას თვეები და წლებიც კი დაჭირდებოდა. ისეც ხდება ხოლმე, რომ დიდი ძალისხმევის შედეგად უკვე ხელმოწერილი შეთანხმებებიც მალე ირღვევა: ასეთი ბედი ხვდა წილად ბარაკ ობამას დროინდელ 2015 წელს ხელმოწერილ ირანის ბირთვული პროგრამის შეთანხმებას, რომელიც სამი წლის შემდეგ, 2018 წელს, დონალდ ტრამპმა „მტვრად აქცია“.

მაგრამ მსოფლიო ეკონომიკა არ დაელოდება წლების გასვლას, როცა მოლაპარაკებები ნაყოფს გამოიღებს. ჰორმუზის სრუტის ბლოკადის გაგრძელება ენერგომატარებლების ფასებს კიდევ უფრო გაზრდის. საავიაციო ნავთის დეფიციტი უკვე იგრძნობა და კიდევ უფრო გამწვავდება. ფერმერები ყველგან პანიკაში არიან ჩავარდნილნი – სასუქების ღირებულება გეომეტრიული პროგრესიით მატულობს, რაც, დიდი ალბათობით, სურსათის ფასებზეც აისახება. თავის მხრივ, აშშ თავისი ბლოკადით ირანის ისლამურ რესპუბლიკაზე ეკონომიკურ ზეწოლას ახდენს.

დღეისათვის საკვანძო კითხვები ასეთია: შეძლებენ მხარეები დიპლომატიური შეთანხმების სწრაფად დადებას, გამწვავებული ეკონომიკური კრიზისის ფონზე? იქნება თუ არა თუ აშშ-სა და ირანს შორის პოზიციების განსხვავება გადაულახავი, რის შემდეგაც მოლაპარაკება ისევ ჩაიშლება, კონფლიქტი კი გაფართოვდება?

შესაძლებელია კონფლიქტის ნებისმიერი დასასრული, მაგრამ მე უფრო მგონია, რომ ესკალაცია მოხდება. ამ შემთხვევაში ახლო აღმოსავლეთს და მსოფლიო ეკონომიკას წინ ისეთი ყველაზე ცუდი შედეგები ელოდება, რომელიც მას ჯერ არ განუცდია.

**ესკალაცია მოსალოდნელია იმიტომაც, რომ ორივე – აშშ-ც და ირანიც – დარწმუნებულნი არიან, რომ მოწინააღმდეგე პირველი უნდა დანებდეს. თავდაპირველად თეთრ სახლს იმედი ჰქონდა, რომ ირანს მარწუხებში მოაქცევდა და რამდენიმე დღეში უკან დაახევინებდა, მაგრამ მოტყუვდა. მთელი კონფლიქტის განმავლობაში აშშ-მა უამრავჯერ განაცხადა, რომ ირანი დავამარცხეო, მაგრამ რეალურად ისე გამოვიდა, რომ თეთრმა სახლმა ჯეროვნად ვერ შეაფასა ირანის რეჟიმის ამტანობა. ასეთი შაბლონური მიდგომა, ალბათ, მომავალშიც განმეორდება.**

თუ ისლამაბადში დაგეგმილი მეორე მოლაპარაკებაც ისევ უშედეგოდ დასრულდება (ჩაიშლება) და აშშ შეეცდება მუქარის შესრულებას – ირანის ელექტროსადგურებისა და ხიდების დაბომბვას, „ქვეყნის ქვის საუკუნეში დასაბრუნებლად“, ალბათ, თეირანიც უმოქმედოდ არ დარჩება და საპასუხო დარტყმას განახორციელებს.

რა შეიძლება გააკეთოს ირანმა? დიდი ალბათობით, თეირანი, შურისძიების სახით, დაარტყამს სპარსეთის ყურის ქვეყნების – თავისი არაბი ავბედითი მეზობლების – ნავთობმოპოვებისა და გადამუშავების ინფრასტრუქტურას: „შავი ოქროს“ საბადოებს და ქარხნებს, ასევე სიგნალს მისცემს იემენელ მოკავშირე ხუსიტებს – ჩაკეტონ ნაოსნობა წითელ ზღვაში.

ირანის ნებისმიერ ნაბიჯს ამ მიმართულებებით შეუძლია გლობალური ენერგეტიკული კრიზისი მნიშვნელოვნად გაამწვავოს. ირანელებმა კარგად იციან, რომ ჰორმუზის სრუტის ბლოკადის გაგრძელება მსოფლიოს ეკონომიკისათვის კოლაფსის გამომწვევია.

უახლოეს კვირებში, **„ნისლიანი ომისა და მშვიდობის“** პირობებში, მოსალოდნელია, რომ ესკალაციისა და მოლაპარაკებების მონაცვლეობა მოხდეს (შესაძლოა ეს ორი პროცესი პარალელურადაც წარიმართოს): ირანი და აშშ ერთმანეთის ნებისყოფას გამოცდიან. არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი საკითხი, რომლის გადაწყვეტა ადრე წარმოუდგენელი იყო, ახლა შეიძლება შედარებით იოლად მოგვარდეს. მაგალითად, ურანის გამდიდრება. რადგანაც ირანს დღეს, დიდი ალბათობით, ურანის გამდიდრების პროცესის გაგრძელების შესაძლებლობა აღარ აქვს, ამიტომაც ისლამური რეჟიმი შეიძლება ბირთვულ პროგრამაზე უვადო მორატორიუმის გამოცხადებაზე იოლად დათანხმდეს – თუ პარალელურად აშშ აღიარებს იმას, რომ ირანს აქვს კანონიერი უფლება ურანის გამდიდრებაზე.

მოლაპარაკების დროს ყველაზე დიდ თავსატეხად შეიძლება ჰორმუზის სრუტეში გემების გავლის დაბეგვრა იქცეს (ირანის მიერ), თუმცა დიპლომატებს ამ საკითხშიც შეუძლიათ გამოსავლის პოვნა: ხომ შეიძლება დაბეგვრისაგან მიღებული შემოსავლები ირანმა და ომანმა (ან ამერიკამაც) გაინაწილონ, შემდეგ კი ამ თანხებით ირანის ეკონომიკის აღდგენის დროებითი ფონდი შეიქმნას?

მაგრამ არსებობს „ცნობილი უცნობი“ მომენტებიც, რომლებსაც სიტუაციის გართულება შეუძლიათ. ერთ-ერთ ასეთ „იქს-მომენტს“ წარმოადგენს აშშ-ისა და ირანის პოზიციების სიმტკიცე. ამჟამად ისე ჩანს, რომ თეირანში „ქორებისა“ და რადიკალების პოზიცია უფრო ძლიერია, ვიდრე „მშვიდობის მტრედებისა“. რაც შეეხება ამერიკას, გაუგებარია, ესმის თუ არა დონალდ ტრამპს, მთელი თავისი ყოყოჩობის გათვალისწინებით, რამდენად არის შეზღუდული მისი სამხედრო შესაძლებლობები? გაურკვეველია ისრაელის შემდგომი მოქმედებაც: შეძლებს თუ არა ბენიამინ ნეთანიაჰუს მთავრობა ახალი კრიზისის გაღვივებას, თუ მას ირანთან მოლაპარაკების პროცესი არ მოეწონება?

**ფინანსური ბაზრები ამ დღეებში იმედიანად გამოიყურებიან: აშკარაა, რომ მათ სჯერათ – კრიზისის პიკი უკან დარჩა, მაგრამ მათი ვარაუდი ზედმეტად ოპტიმისტურია…**



მოამზადა
**სიმონ კილაძემ**

## დღევანდელი „ფაშისტები“ ისევ რუსეთის შიშით კანკალებენ!

**გერმანიამ ახალი სამხედრო სტრატეგია წარადგინა, რომლის მიზანიც ევროპაში უძლიერესი არმიის შექმნაა. გერმანული გამოცემის, „შპიგელის“ ცნობით, გერმანიის თავდაცვის მინისტრმა ბორის პისტორიუსმა წარადგინა ქვეყნის ისტორიაში პირველი სამხედრო სტრატეგია, რომლის მიზანიც არის ევროპაში უძლიერესი არმიის შექმნა.**

სტრატეგიის მიხედვით, გერმანიის არმიაში 260 000 აქტიური სამხედრო მოსამსახურე იქნება, რეზერვისტებთან ერთად კი შეიარაღებულ ძალებს 460 ათასი ჯარისკაცი ეყოლება. გერმანიის სამხედრო სტრატეგიაში მთავარი ამოცანაა რუსეთიდან მომავალი საფრთხეებისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

**„რუსეთი ქმნის პირობებს ნატოს ქვეყნებზე თავდასხმისთვის“,** – ნათქვამია დოკუმენტში. სტრატეგიის მიხედვით, რუსეთიდან მომავალი საფრთხეებზე საპასუხოდ გერმანიის არმიამ უნდა განავითაროს შეტევითი და თავდაცვითი შესაძლებლობები, განსაკუთრებით კოსმოსში, კიბერსივრცესა და საინფორმაციო სფეროში. დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ, რუსეთიდან მომდინარე ჰიბრიდული საფრთხეების გათვალისწინებით, ბუნდესვერმა უნდა ითანამშრომლოს ყველა სახელმწიფო ინსტიტუტთან, თუმცა ფოკუსირებული უნდა იყოს ამოცანებზე, რომლებიც მოითხოვს სამხედრო მოქმედებებს. ამას გარდა, სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ გერმანიის შეიარაღებული ძალები მიიღებს უფრო მეტ მაღალი სიზუსტის, შორ მანძილზე მოქმედ შეიარაღებას, კერძოდ, ანტისაჰაერო თავდაცვით სისტემებს.

## ირანის ყოფილი შაჰის ვაჟს წითელი სითხე შეასხეს

**ირანის ყოფილი შაჰის ვაჟს რეზა ფაჰლევის ბერლინში გამართულ პრესკონფერენციაზე წითელი სითხე შეასხეს,** – ინფორმაციას ამის შესახებ **„სქაი ნიუსი“** ავრცელებს. კონფერენციაზე **ფაჰლევიმ** გერმანიის მთავრობა გააკრიტიკა იმის გამო, რომ ბერლინმა მასთან დიალოგზე უარი განაცხადა.



**„მგონია, რომ დემოკრატიული მთავრობების პრეროგატივა უნდა იყოს, არ დამორჩილონ ბანდიტებისა და ტერორისტების კარნახს, ვისთან ისაუბრონ და ვისთან არა. როგორც დემოკრატიები, უფლება გაქვთ, ისაუბროთ ვისთანაც გინდათ“,** – განაცხადა ფაჰლევიმ.

## უკრაინისთვის 90 მილიარდი ევროს კრედიტი დაამტკიცეს

**ევროპულმა საბჭომ უკრაინისთვის 90 მილიარდი ევროს კრედიტის გამოყოფა და რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მეოცე პაკეტი დაამტკიცა.**

ევროკავშირის საბჭომ წერილობითი პროცედურის გზით დაამტკიცა ცვლილებები ევროკავშირის 2021–2027 წლების გრძელვადიან ბიუჯეტში, რაც საშუალებას იძლევა, უკრაინას 2026–2027 წლებში 90 მილიარდი ევროს ოდენობის კრედიტი გადაეცეს. ასევე მიღებულია რუსეთის წინააღმდეგ ევროკავშირის სანქციების მეოცე პაკეტიც.

ევროკავშირის გრძელვადიან ფინანსურ ჩარჩოში ცვლილებებმა მოხსნა უკანასკნელი იურიდიული დაბრკოლება, რომელიც უკრაინისთვის 90 მილიარდი ევროს ოდენობით კრედიტის გამოყოფას უშლიდა ხელს. ევროკავშირის, სანქციების მეოცე პაკეტში არ შედის რუსული ტანკერებისთვის საზღვაო მომსახურების სრულად აკრძალვა.

# გორი: პატრიარქისადმი მიძღვნილი საღამო

**20 აპრილს, გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გორისა და ატენის ეპარქიის მიტროპოლიტის, მეუფე ანდრიას ლოცვა-კურთხევით და თანადგომით ჩატარდა ილია მეორისადმი მიძღვნილი საღამო.**

ხალხით სავსე დარბაზის მაყურებელი ძირითადად ახალგაზრდა თაობა იყო, უპირველესად ისინი, ვინც უნდა შეიმეცნოს, ეზიაროს ქვეყნის წინაშე ერის სულიერი მამის გაღებულ ღვაწლსა და ამაგს.



მსმენელებს წარუდგა გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯთან არსებული, სემინარიის მოსწავლეთა გუნდი (ხელმძღვანელი **ნინო წიკლაური**) და ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის მგალობელ ვაჟთა გუნდი, რომლებმაც პატრიარქის შექმნილი საგალობლები შეასრულეს.

ნორჩმა დეკლამატორებმა წაიკითხეს ილია მეორისადმი მიძღვნილი ლექსები, წამყვანებმა კიდევ ერთხელ შეახსენეს დამსწრეთ უწმინდესის ცხოვრება და პატრიარქის ორმოცდაათწლიანი მოღვაწეობა.

შეხვედრის მომზადებაში მონაწილეობდნენ და სიტყვით გამოვიდნენ სახელმწიფო რწმუნებული შიდა ქართლში **სიმონ გულედანი**, გორის მერი **კონსტანტინე ბუზალაძე**, საკრებულოს თავმჯდომარე **მარლენ ნადირაძე.**

საინტერესო საღამოს ბოლოს მეუფე ანდრიამ პატრიარქთან ურთიერთობის არაერთი ეპიზოდი გაიხსენა.

შეხვედრის მონაწილეები მეუფემ **ვანო ჩხიკვაძის** ახალგამოცემული წიგნით **„პატრიარქის ხელი“** – დააჯილდოვა.




**აქამდე ჩემი არც ერთი წიგნის გამოსვლას ასე სულმოუთქმელად არ ველოდი – ვჩქარობდი, თითქოს ვგრძნობდი, რომ...**

**როგორც ადრე საჩუქრად მირთმეული კრებულისთვის, მინდოდა „პატრიარქის ხელისთვისაც“ გადაესვა თავისი ათრთოლებული თითები და დაელოცა.**

# უკან მიდევნებული სანთელი

პირველად უწმინდესს გორისა და ატენის მიტროპოლიტმა, მეუფე ანდრიამ შემახვედრა – ჩემი ერთტომეული მივართვი და წიგნი ჩანიშნულ გვერდზე გადავუშალე.

ჩაიკითხა მისდამი მიძღვნილი ლექსი, თავისი განუმეორებელი ღიმილით მომეხვია და მკერდზე მიმიხუტა.

ის სითბო დღემდე მომყვება!

ვჩქარობდი-მეთქი, მაგრამ ჩვიდმეტ მარტს ჩაქრა სიხარულის მოლოდინი!

წაბრძანდა უწმინდესი და „პატრიარქის ხელის“ პირველი ეგზემპლარი მხოლოდ მეორე დღეს აიკინძა.

მახსოვს, სოფელში, ღამით ოჯახიდან გასულ სტუმარს, ჭიშკრამდე ანთებული კელაპტრით ან ლამპით მიაცილებდნენ ხოლმე.

მეც ასე, ქუდზე კაცგამოსულ, თვალცრემლიან საქართველოსთან ერთად , უკან მიდევნებული კრებულის „სანთელით“, მივაცილებდი ერის მამას, ვისი ძალისხმევითაც ხელმეორედ იშვა და თითქოს საქართველოზე ახალი ძალით გადმოვიდა მართლმადიდებლობის მადლი.

მაშინდელი, ნათელი მწუხარებით გაბრწყინებულ დღეებში, ყველა მხრიდან ფეხადგმულმა ერმა კიდევ უფრო ცხოვლად იგრძნო, თუ ათწლეულების განმავლობაში, სამშობლოს სასიკეთოდ შიშველი ხელებით რამდენი „ნარეკალი“ გლიჯა უწმინდესმა. ერთხელ, გორში ჩემთან სტუმრობისას, მეუფე თადეოზმა გაიხსენა: 2008 წლის აგვისტოს ომამდე პატრიარქი ბორჯომში იმყოფებოდა. სინოდის წევრებმა იქ მოინახულეს.

მეორე დილით, სინოდის სხდომისას, პატრიარქი ფერმკრთალი და ისე გადაღლილი გამოიყურებოდა, რომ წამიერად წასთვლიმა კიდევაც და მოიბოდიშა, მთელი ღამე თვალი ვერ მოვხუჭე, გათენებამდე ჩრდილოეთიდან შემოჭრილ ბოროტ ძალებს, ავსულებს ვებრძოდიო.

მოგვიანებით ვნახეთ, როგორ აგვიხდა ეს ყველაფერი და ისიც – პატრიარქის მტკიცე ნებითა და გორისა და ატენის, ცხინვალისა და ნიქოზის ეპარქიების ძალისხმევით ავირიდეთ, უფრო დიდ მსხვერპლად და უბედურებად რომ არ გვექცა თითიდან გამოწოვილი, აგვისტოს სამარცხვინო ომიო, – დაასრულა თავისი მონათხრობი მეუფემ.

იმ დღეებში დაწერილი და „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული ლექსით „ზარი“ გამოვეთხოვე უწმინდესს.

**იმქვეყნად ვაცილებთ მოწყალე**
**ჩვენს ჭირისუფალს და ამაგდარს,**
**სამშობლოს უპეებს მომწყდარი**
**ეს ცრემლი სხვა ცრემლებს არა ჰგავს!**
**წაბრძანდა პატრიარქიც, ნეტარი,**
**თავშეწირული და უბრალო,**
**შავებს, საქართველო, ნეტავი,**
**როდისღა გაიხდის, უფალო!**



სამებასთან, პირველი პანაშვიდის დროს, მშობელგარდაცვლილივით იდგა საქართველო და ცისკენ მზერააპყრობილი ვფიქრობდი... ღმერთო, ნუთუ ხვალინდელი დღე პატრიარქის გარეშე უნდა გათენდეს-მეთქი!

ვერ წარმომედგინა, მაგრამ...

უფალმა ასე ინება!

მეორმოცე დღეს გაუღებს სამყაროს შემოქმედი სასუფევლის „ჭიშკარს“, რომ თავისი მრავლისგადამტანი მარჯვენით პირჯვარი სამშობლოს ახლა ზეციდან გარდასახოს!

**ვანო ჩხიკვაძე,**
21.04.2026

# ნეკრესის სამონასტრო კომპლექსთან მისასვლელი გზა განახლდა

**ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა კახეთის რეგიონში, ყვარლის მუნიციპალიტეტში, ნეკრესის სამონასტრო კომპლექსთან მისასვლელი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის 5-კილომეტრიანი მონაკვეთის (კმ1–კმ5) პერიოდული შეკეთების სამუშაოები დაასრულა.**

პროექტის ფარგლებში სრულად მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა – მოეწყო ასფალტ-ბეტონის საფარი, ტროტუარები, გაზონები, სანიაღვრე არხები, მოსახლეობის ეზოებში შესასვლელები და გზასთან მიერთებები. ასევე, განთავსდა საგზაო ნიშნები და განხორციელდა სავალი ნაწილის ჰორიზონტალური მონიშვნა. განახლებული გზა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს გადაადგილების უსაფრთხოებასა და კომფორტს როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე მომლოცველებისა და ტურისტებისთვის, რომლებიც ნეკრესის ისტორიულ-კულტურულ კომპლექსს სტუმრობენ. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 604 100 ლარით დაფინანსდა.



# ლევილიდან დანახული საქართველო!

**საქართველოს კულტურის მინისტრმა თინათინ რუხაძემ, საფრანგეთში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ლევილის ქართველთა მამულში განხორციელებული და მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ამ დროისთვის, მამულში სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილი დასრულებულია, კერძოდ, რეაბილიტაცია ჩაუტარდა შატოს, ე.წ. ორანჟერეასა და ჰამოს შენობებს, პოლიკარპე – no

აქტიურად მიმდინარეობს ლევილის ქართველთა მამულის პარკის ინფრასტრუქტურისა და ელექტრომომარაგების პროექტის განხორციელება. ეწყობა გარე მოხმარებისთვის განკუთვნილი საპირფარეშოები და სარწყავი სისტემა; განახლებულია სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემები.



ხელოვანთა ატელიეების, შიდა გზების, ავტოსადგომებისა და საფეხმავლო ბილიკების მოწყობის სამუშაოები მიმდინარე წლის ზაფხულში დასრულდება, სექტემბრამდე კი შატოში მოეწყობა პირველი რესპუბლიკისადმი მიძღვნილი საგამოფენო სივრცე;

აღიჭურვება ბიბლიოთეკა, მისი საცავი და მედიათეკა; ასევე მოეწყობა ფრანგული ბაღი და შესასვლელის შენობაში განთავსდება სუვენირების მაღაზია.

**„ლევილის მამულში ძალიან ბევრი სამუშაო დასრულებულია. ვფიქრობ, რომ წელს ლევილის ქართველთა მამულს საზეიმოდ გავხსნით. ეს იქნება ადგილი, საიდანაც საქართველო კიდევ ერთხელ დაადასტურებს თავისი კულტურის, ისტორიისა და იდენტობის დიდ მნიშვნელობას“,** – განაცხადა **თინათინ რუხაძემ.**

მინისტრთან ერთად, მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საფრანგეთის რესპუბლიკაში, UNESCO-ში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა **ირაკლი ყურაშვილმა,** ლევილის მერმა **ერიკ ბრევმა** და ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოცემის აქტზე ხელმომწერი ოჯახების წევრებმა.

# დიდი ნდობა




**გადაწყვეტილება მიღებულია – თბილისში გამართული 2026 წლის ისტორიული ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, ძიუდოს ევროპის კავშირმა (EJU) საქართველოს კიდევ ერთი დიდი ტურნირის ორგანიზების საშუალება მისცა.**

სპორტის მინისტრ **შალვა გოგოლაძისა** და EJU-ს პრეზიდენტ **ლასლო ტოტის** შეხვედრაზე საბოლოოდ დადასტურდა, რომ 2027 წელს ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატს საქართველო უმასპინძლებს.

**შეგახსენებთ, რომ თბილისში გამართულ 2026 წლის ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს მონაგარი 4 ოქროს (ეთერ ლიპარტელიანი, ლაშა შავდათუაშვილი, ლუკა მაისურაძე, გურამ თუშიშვილი), 2 ვერცხლის (გიორგი სარდალაშვილი, ტატო გრიგალაშვილი) და 1 ბრინჯაოს მედალია (ილია სულამანიძე). საქართველო არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გავიდა, აჯობა საფრანგეთსა (2 ოქრო, 4 ვერცხლი, 6 ბრინჯაო) და რუსეთს (2 ოქრო, 1 ვერცხლი, 4 ბრინჯაო).**

# ოქრო მაინც სხვაა

**ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონატის ბოლო საშეჯიბრო დღეს საქართველომ სამი მედალი მოიპოვა – ერთი ვერცხლი და ორი ბრინჯაო.**

72 კგ წონით კატეგორიაში **იური ლომაძემ** ჯერ სური კამილ ახმატვალეევი 6:0 დაამარცხა, შემდეგ ხორვატ პაველ პუკლავეჩს 11:0 მოუგო, ნახევარფინალში კი თურქ ჯენგიზ არსლანთან 3:2 მოიგო და ფინალში გავიდა, სადაც ფრანგ იბრაჰიმ განემთან 0:4 წააგო. შედეგად, ქართველი ვერცხლს დასჯერდა.




67 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა **დიეგო ჩხიკვაძემ,** რომელმაც რუსი ჰლებ მაკარანკა 3:1 და ხორვატი დომინიკ ეტლინგერი 6:1 დაჯაბნა, ხოლო ნახევარფინალში აზერბაიჯანელ ჰასრატ ჯაფაროვთან დამარცხდა და ბრინჯაოსთვის შვედ ნიკლას ოჲლენს 3:1 აჯობა.

82 კგ წონით კატეგორიაში გელა ბოლქვაძემ თურქი იუკსელ სარიჩიჩეკი 9:2 დაამარცხა, მაგრამ ნახევარფინალში აზერბაიჯანელ გურბან გურბანოვთან 1:2 დამარცხდა და ბრინჯაოსთვის შეხვედრაში მოლდოველ მიჰაილ ბრადუს სძლია. შეგახსენებთ, რომ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველომ გამოსვლა ოქროს გარეშე, მაგრამ 5 მედლით დაასრულა და გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილი დაიკავა. ვახტანგ ლოლუამ, რამაზ ზოიძემ და იური ლომაძემ ვერცხლის, ხოლო დიეგო ჩხიკვაძემ და გელა ბოლქვაძემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. **დღეს ხალიჩაზე თავისუფალი სტილის მოჭიდავეები გამოვლენ.**

# კიდევ ერთი ბრინჯაო




**ბათუმის ევროპის ჩემპიონატის მეოთხე საშეჯიბრო დღის ბოლოს მედლებისთვის ბრძოლას შეუდგნენ 79 კილოგრამი წონითი კატეგორიის წარმომადგენლები, მათ შორის, ფიცარნაგზე ვიხილეთ არჩილ მალაყმაძე.**

გარდა იმისა, რომ ქართველმა ძალოსანმა ატაცში (153), აკვრასა (183) და ორჭიდის ჯამში (236) საქართველოს რეკორდები დაამყარა, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა აკვრაში. მთლიანობაში კი მეხუთე იყო როგორც ატაცში, ისე ორჭიდის შედეგად.

ორჭიდის ჯამში (341) წონის ჩემპიონი გახდა ინდივიდუალური ნეიტრალური ათლეტი გევორქ სერებიანი, რომელმაც იქამდე ევროპის რეკორდით მოიგო ატაცი (161).

ორჭიდში 340 კილოგრამით ვერცხლის მედალი ერგო ალბანელ ბრიკენ კალიას, რომელმაც აკვრაში (187) ოქროს მოპოვება შეძლო. მესამე ადგილი დაიკავა სომეხმა ძალოსანმა მარტინ პოღოსიანმა, რომელმაც საამისოდ ორჭიდში 338 კილოგრამი დააგროვა და მეორე შედეგი ჰქონდა აკვრაში (186).

მედალოსნები გახდნენ აგრეთვე თურქი კაან კაჰრიმანი და რუმინელი ტიბერიუ დონოსე. მათ, შესაბამისად, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს ატაცში.

# პენალტის გამოცდაა

**უკვე 3 წელიწადი გავიდა** მას შემდეგ, რაც მაშინ ჯერაც ნაპოლის მტერთა მარბიელს **ხვიჩა კვარაცხელიას** ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ აუღეს პენალტები აინტრახტისა და მილანის მეკარეებმა – ტრაპმა და მენიომ.

კი, ზუსტად შესრულებული მისი სანაკრებო თერთმეტმეტრიანი დარტყმები როგორ არ გვახსოვს, მაგალითად – თბილისში ჩეხებთან, მაგრამ პარი სენ-ჟერმენის ლიდერი საფეხბურთო საკლუბო ლატარიას მხოლოდ ნანტთან გამოტოვებულ უმნიშვნელოვანეს საშინაო შეხვედრაში დაუბრუნდა და **ლუის ენრიკეს** ნდობა ამჯერადაც გაუმართლა. მეტიც – ტრავმირებული ვიტინიას და მენდეშის არყოფნაში ფრანგული გრანდის გამოკვეთილმა ლიდერმა ასაკთან – 25 წელთან შედარებით შთამბეჭდავ კარიერაში ფილიგრანული დრიბლინგით გაიფორმა მე-6 დუბლი (იტალიაში – მონცასთან, ვერონასთან და სასუოლოსთან, ლიგა – 1-ში კი – რენთან და ოსერთან) – 3:0 და 4-ქულიანი უპირატესობა ლანსთან სატურნირო ცხრილის კენწეროში.



დავძენთ, რომ თვით ხვიჩას სეზონური მონაგარი ყველა ტურნირში სარეკორდო – 16 გოლამდე გაიზარდა, საიდანაც 7 უშუალოდ იქაურ ჩემპიონატზე მოდის.

ჩემპიონთა ლიგის 28 აპრილის ნახევარფინალამდე (შინ მიუნხენის ბაიერნთან) პარიზელები ანჟერს ხვალ ეწვევიან.

***ავსტრია.** შტურმი-ლასკ ლინცი 1:1. მასპინძლები უახლოეს მდევართან 2-ქულიან უპირატესობას **ოთარ კიტეიშვილის** გატანილი პენალტით ინარჩუნებენ. **ამ დროს მეტოქეს 2 მოთამაშე ჰყავდა გაძევებული.***

# მეორედ, აფრიკაში

**„შავი ლომი" ივნისში სამხრეთაფრიკულ ტურნეზე გაემგზავრება და „ტოიოტა ჩელენჯის" ფარგლებში, ადგილობრივ წამყვან გუნდებთან სამ თამაშს გამართავს.**

„შავი ლომი" „ტოიოტა ჩელენჯში" მეორედ მონაწილეობს. 2025 წლის ოქტომბერში ის ბლუმფონტეინის „ტოიოტა სთედიუმზე" „ჩიტასს" ორჯერ შეხვდა და პირველ მატჩში მასპინძლები 39:38 დაამარცხა, მეორეში კი აფრიკელებმა 24:5 იმარჯვეს. წელს ტურნირი განსხვავებული, გაუმჯობესებული ფორმატით ტარდება. მასში 6 გუნდი მიიღებს მონაწილეობას – სამი აფრიკული და სამი ევროპული. შესაბამისად, თითოეულ ევროპულ გუნდს, სამ სამხრეთაფრიკულ გუნდთან მოუწევს შერკინება. 2026 წლის „ტოიოტა ჩელენჯში" ითამაშებენ სამხრეთაფრიკული „ტოიოტა ჩიტასი", „აირლინკ პუმასი" და „სუზუკი გრიქასი", ხოლო წვეული გუნდები „შავი ლომი", პორტუგალიის ნაკრები და რუმინეთის ა ნაკრები იქნებიან. ბლუმფონტეინის „ტოიოტა სთედიუმზე", სამ სათამაშო დღეს – 5, 10 და 14 ივნისს, სამ-სამი თამაში გაიმართება.

„შავი ლომი" 5 ივნისს „აირლინკ პუმასს" შეხვდება და ტურნირიც ამ თამაშით გაიხსნება; 10-ში „სუზუკი გრიქასს" შეერკინება; ხოლო 14 ივნისს „ტოიოტა ჩიტასს" ეთამაშება.

აღსანიშნავია, რომ ეს 2026 წლის „ტოიოტა ჩელენჯის" პირველი ეტაპია, მეორე ეტაპს კი საქართველო, თბილისი ოქტომბერში უმასპინძლებს და „შავი ლომი" სამხრეთაფრიკულ გუნდებთან საპასუხო შეხვედრებს გამართავს!

**„ეს ტურნირი „შავი ლომის" მიზნებს სრულად შეესაბამება და მინდა მადლობა გადავუხადო როგორც სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირს, ასევე „ტოიოტა ჩიტასს" ამ შესაძლებლობისთვის. ტურნირს განვითარების უზარმაზარი პოტენციალი აქვს და ვფიქრობ, მომავალში ის კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას შეიძენს. შესაბამისად, მისი დაარსება და მასში მონაწილეობა, უდიდესი წარმატებაა ქართული რაგბისა და „შავი ლომისთვის"** – განაცხადა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **დავით კაჭარავამ**.

# მჯობნის მჯობნი

**პრესტიჟული საერთაშორისო პრემიის – lourus vorld sports evord – 2026-ის გამარჯვებულები ჩოგბურთელები არინა საბალენკა და კარლოს ალკარასი გახდნენ.**

ამ უკანასკნელმა წლის საუკეთესო მამაკაცი სპორტსმენის ნომინაციაში პარი სენ-ჟერმენის თავდამსხმელს უსმან დემბელეს, შვედ მძლეოსანს არმან დიუპლანტისს, თანამემამულე მოტომრბოლელს მარკ მარკესსა და სლოვენიელ ველომრბოლელს ტადეი პოგაჩარს გაუსწრო. მიუხედავად იმისა, რომ მოახლოებულ როლან გაროსზე დიდი მუზარადის ტურნირების 7-გზის გამარჯვებულსა და მსოფლიო რეიტინგის მე-2 ნომერს ტიტულის მორიგი დაცვა ელის, მაჯის ტრავმა სიფრთხილისკენ უბიძგებს:




**„წინ ხანგრძლივი კარიერა მაქვს და თუ დაბრუნებას დავაჩქარებ, ეს მომავალში შესაძლოა ჩემთვის ძალიან საზიანო აღმოჩნდეს. ჩვენ სამედიცინო ტესტების პასუხებს ველოდებით და მათ შესაბამისად მოვიქცევით. მირჩევნია, ოდნავ გვიან, თუმცა სრულ მზადყოფნაში დავბრუნდე, ვიდრე ნაადრევად გამოვიდე კორტზე და ცუდად ვითამაშო".**

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული დაზიანების გამო ესპანელი ჯერ ბარსელონის 500-იან ტურნირს ჩაეხსნა მე-2 წრიდან, ხოლო მოგვიანებით მადრიდის მასტერსზე ასპარეზობაზეც თქვა უარი.

ვფიქრობთ, არანაკლებ დაგაინტერესებთ ევორდის ვერსიით პლანეტის საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენის ნომინაციის ლაურეატის, ბარსელონისა და ესპანეთის ნაკრების 18 წლის შემტევის **ლამინ იამალის** მონოლოგიც:

**„ამ ჯილდოს მიღება ძალიან მახარებს. ეს დიდი პატივია. მინდა, მადლობა გადავუხადო კატალონიური კლუბის აკადემიას, ჩემს ოჯახს, კოლეგებსა და გუნდს, რომლებიც სულ გვერდით მიდგანან. ლეო მესი არამარტო ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელია, არამედ ერთ-ერთი, თუ არა საუკეთესო, სპორტსმენიც და დიდ პატივს ვცემ მას იმის გამო, რასაც მიაღწია, ამიტომ ვიმედოვნებ, რომ მის კვალს გავყვები. რაც შეეხება პასუხისმგებლობას, თავიდან ძნელია იმის გაცნობიერება, რომ 18 წლის ბავშვს უფლება არა მაქვს შეცდომა დავუშვა, რადგან უამრავი თანატოლისთვის მაგალითს წარმოვადგენ, თუმცა ამას პოზიტიურად აღვიქვამ და ვცდილობ, ყოველთვის გააზრებულად ვიმოქმედო.**

**ბუნებრივია, რომ ხანდახან რაღაც მეშლება"** – განაცხადა ბარსას ვარსკვლავმა, რომელმაც მიმდინარე სეზონში ყველა ტურნირზე 45 მატჩში 24 გოლი და 16 ასისტი მოაგროვა. და ბოლოს, ევორდის წლის აღმოჩენის პრემიის მფლობელს, მაკლარენის ბრიტანელ პილოტსა და ფორმულა – 1-ის მოქმედ სენსაციურ ჩემპიონს **ლანდო ნორისს** მოვუსმინოთ:

**„დღევანდელ განსაკუთრებულ საღამოს მშვენიერი ჯილდო მივიღე. ასეთ გამორჩეულ პერსონებს შორის ყოფნა დიდებულია, ამიტომ დიდ მადლობას ვუხდი ჟიურის აღიარებისთვის, აგრეთვე პირადი კოლექციის კიდევ ერთი ტიტულით გამდიდრებისთვის. რა თქმა უნდა, ეს ჯილდო ეკუთვნით გულშემატკივრებს და ყველას, ვინც ამ გზაზე მხარს მიჭერდა".**

ნორისი მონტოიას და ჰემილტონის შემდეგ მესამე ავტომრბოლელია, ვინც ევორდის პრიზი დაიმსახურა და მან ამჯერად ბრაზილიელ ჩოგბურთელ ფონსეკას, პარი სენ-ჟერმენის ფრანგ იმედს დეზირე დუეს, ინგლისელ კრიკეტისტს ლუკ ლიტლერს, ჩინელ მოცურავეს იუ ძიდის და ნბა-ს ჩემპიონ ოკლაჰომას ლიდერს შეი გილჯეს ალექსანდერს აჯობა კონკურენციაში.

# ამ სავალალო სტატისტიკის გეშინოდეს, ქართველო!

## 2024 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 929 581 კაცი შეადგინა




**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დაზუსტებული მონაცემების საფუძველზე, 2024 წლის 14 ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 929 581 კაცი შეადგინა, რაც 0.4 პროცენტით მეტია 2025 წლის ივნისში გამოქვეყნებულ (3 914 000 კაცი) წინასწარ მონაცემთან შედარებით.**

საქართველოს მოსახლეობის **52 პროცენტი, ანუ 2 048 577 ადამიანი ქალია, ხოლო 48 პროცენტი, ანუ 1 881 004 ადამიანი კაცი. ქალების წილი შედარებით მაღალია თბილისსა და ქუთაისში და შეადგენს 54 პროცენტს, ხოლო შედარებით დაბალია ქედის, ხელვაჩაურის, ხარაგაულის, საგარეჯოს, მარნეულის მუნიციპალიტეტებში და 49 პროცენტს შეადგენს.**

საქსტატის მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით, **2024 წლის 14 ნოემბრის მდგომარეობით, საქალაქო ტიპის დასახლებებში ცხოვრობს მოსახლეობის 62 პროცენტი, ანუ 2 442 231 ადამიანი, ხოლო სასოფლო ტიპის დასახლებებში 38 პროცენტი – 1 487 350 ადამიანი. რეგიონების მიხედვით, საქალაქო ტიპის დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის წილი, თბილისის გარდა, მაღალია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (67 პროცენტი), რაც განპირობებულია ბათუმის მოსახლეობის მაღალი რიცხოვნობით. საქალაქო ტიპის დასახლებებში მცხოვრებთა წილი შედარებით დაბალია მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში და შეადგენს 24 პროცენტს.**

ამასთან, უწყების **2024 წლის დაზუსტებული მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობაში ყველაზე მაღალია 35-39 (7.6 პროცენტი), 10-14 (7.4 პროცენტი) და 30-34 (7.2 პროცენტი) ასაკობრივი ჯგუფების მოსახლეობა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქალების წილი განსაკუთრებით მაღალია 85 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში, კერძოდ, აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში ქალების რიცხოვნობა 2.6-ჯერ აღემატება კაცების რიცხოვნობას.**

**2024 წლის აღწერის მონაცემებით, თბილისში ცხოვრობს 1 331 485 კაცი, რაც საქართველოს მოსახლეობის 34 პროცენტს შეადგენს. მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით, მეორე და მესამე ადგილს იკავებენ იმერეთის (510 741 კაცი) და ქვემო ქართლის (441 630 კაცი) რეგიონები, რომლებზეც მოდის შესაბამისად მოსახლეობის 13 და 11 პროცენტი.**

საქსტატის ცნობით, საქართველოს **2024 წლის მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერის საბოლოო, დეტალური შედეგები მიმდინარე წლის ივნისის ბოლოს გამოქვეყნდება.**

საქსტატის ინფორმაციით, **საქართველოს 2024 წლის მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერა ჩატარდა 2024 წლის 14 ნოემბრიდან 31 დეკემბრის პერიოდში. აღწერამ მოიცვა ქვეყნის მთელი ტერიტორია, ოკუპირებული ტერიტორიების გარდა. საერთაშორისო მეთოდოლოგიის მიხედვით, აღწერას დაექვემდებარა ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები საქართველოს ყველა მოქალაქე, ასევე ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები. აღწერის ფარგლებში, მონაცემები შეგროვდა ელექტრონულად, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.**

**პროცესი ორ ეტაპად განხორციელდა: პირველ ეტაპზე, 2024 წლის 14-23 ნოემბრის პერიოდში გამოყენებული იქნა თვითრეგისტრაციის მეთოდი, ხოლო მეორე ეტაპზე 29 ნოემბრიდან – 31 დეკემბერი – კომპიუტერის დახმარებით პერსონალური ინტერვიუს მეთოდი. მოსახლეობის მხრიდან გამოვლენილი მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, თვითრეგისტრაციის შესაძლებლობა დამატებით გაგრძელდა მთელი დეკემბრის განმავლობაშიც.**



## აღდგომიდან მესამე მენელსაცხებლე დედათა შვიდეული

**26 აპრილს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს დედათა: მარიამ მაგდალელის, მარიამ კლეოპას, სალომე, იოლანა, მართა, მარიამ, სუსანა, ქართველთა კეთილ-მსახური მეფე თამარის ღვაწლს...**

...მესამე კვირიაკეს ასევე მცხეთის ჯვრის აღმართების ხსენებაა.

...ცნობილია, რომ უფალმა ერთ-ერთი მენელსაცხებლე დედა მარიამ მაგდალინელისაგან განდევნა 7 ეშმაკი. განკურნების შემდეგ მარიამმა ახალი ცხოვრება დაიწყო და ის იქცა მაცხოვრის ერთგულ მოწაფედ.

სახარება მოგვითხრობს, რომ მარიამ მაგდალინელი უფალს დაჰყვებოდა ყველგან, სადაც კი, იგი თავის მოწაფეებთან ერთად წავიდოდა ხოლმე საქადაგებლად – ურიასტანისა და გალილეის ქალაქებსა და სოფლებში. უფალს ასევე ემსახურებოდნენ სხვა წმინდანი დედებიც. დედებმა მოიმარაგეს და უფლის საფლავი შემურეს ნელსაცხებლებით.

...ახლა, ცოტა რამ ჩვენს კეთილმსახურ მეფე თამარზე. ვისი ხსენებაცაა 14 მაისს, 31 იანვარს. ამის შესახებ მრავალი ლეგენდა და თქმულება დაწერილა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. ამ კვირიაკეს კი მას უკვე მოვიხსენიებთ, როგორც მენელსაცხებლე დედას; მისი მოღვაწეობის გამო, ის მოციქულთა სწორს გაუტოლდა.

**გიული ლიპარტია**

# ჯაშუშობის ბრალდებით საქართველოს ერთი მოქალაქე დააკავეს!

**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ გატარებული კონტრდაზვერვითი ღონისძიებების შედეგად, ჯაშუშობისთვის, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის თანამშრომლების დავალებით ინფორმაციის შეგროვებისა და გადაცემის ბრალდებით დაკავებულია საქართველოს ერთი მოქალაქე.**

როგორც სუს-ის უფროსის პირველმა მოადგილემ **ლაშა მაღრაძემ** განაცხადა, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის თანამშრომელი საქართველოს მოქალაქეს გარკვეული ფულადი თანხის მიღების სანაცვლოდ, საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ, ავალებდა სხვადასხვა ხასიათის ინფორმაციის შეგროვებას.

**„სისხლის სამართლის საქმეზე შეგროვებული მტკიცებულებებით დადგენილია, რომ დაკავებული პირი გადაიბირა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურმა და მას მიენიჭა შესაბამისი ფსევდონიმი. უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის თანამშრომელი საქართველოს მოქალაქეს გარკვეული ფულადი თანხის მიღების სანაცვლოდ, საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ, ავალებდა სხვადასხვა ხასიათის ინფორმაციის შეგროვებას უცხოური სპეცსამსახურისთვის გადაცემის მიზნით.**

**გამოძიებით დადგენილია, რომ ჯაშუშობისთვის დაკავებულ პირს დავალებული ჰქონდა საქართველოში ინფორმაციის შეგროვება შემდეგი მიმართულებით.**

**– საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურების: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს დისლოკაციის ადგილების, ძალებისა და საშუალებების შესახებ. ასევე, მათი დისლოკაციის ადგილების ფოტო და ვიდეოგადაღება.**

**– საქართველოში სტრატეგიული ობიექტების, მათ შორის ხიდების, საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალების და სხვა დანიშნულების ობიექტების განთავსების შესახებ, ასევე აღნიშნული ადგილების ფოტო, ვიდეოგადაღება და სხვა.**

**კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ ანალოგიურ დანაშაულში ასევე მხილებულია საქართველოს ორი მოქალაქე, რომლებიც გადაბირებულ იქნენ იმავე უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის თანამშრომლების მიერ და მიღებული დავალების შესაბამისად, საქართველოს ინტერესების საზიანოდ ახორციელებდნენ სხვადასხვა ხასიათის ინფორმაციების შეგროვებას და უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის წარმომადგენლებისთვის გადაცემას.**

**საქმის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, დანაშაულის დეტალების სიზუსტით შესწავლის მიზნით, გამოძიების ფარგლებში, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა შესაბამისი ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებები. დაკავებულს ბრალდება ჯაშუშობისთვის წარედგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც რვიდან თორმეტ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ კიდევ ორ პირს, რომლებიც ამჟამად საქართველოში არ იმყოფებიან, მათ ჯაშუშობისთვის დაუსწრებლად წარედგინებათ ბრალდება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლის პირველი ნაწილით. მიმალვაში მყოფი პირების მიმართ ინტერპოლის მეშვეობით გამოცხადდება საერთაშორისო ძებნა“.**

**„საყურადღებოა, რომ ხსენებული შპს ოპერირებს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე. დაკავებულმა პირმა სრულად ითანამშრომლა გამოძიებასთან და აღიარა ჩადენილი დანაშაული. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარედგინა, რაც 7-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. მათთვის, ვინც მიიჩნევს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების გამოყენებით შეძლებს სახელმწიფოს კუთვნილი თანხების მითვისება-გაფლანგვას, მსგავსი დანაშაული არ დარჩება რეაგირების გარეშე ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩადენის შემთხვევაშიც კი“,** – ნათქვამია სუს-ის ინფორმაციაში.

# დიდი ოდენობით თანხების მითვისებისა და გაფლანგვის ფაქტზე დაკავებულია „კოდორიჰესების“ დეპარტამენტის უფროსი



**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიერ ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დიდი ოდენობით თანხების მითვისებისა და გაფლანგვის ფაქტზე დაკავებულია შპს „ენგურჰესში“ შემავალი, შპს „კოდორიჰესების“ დეპარტამენტის უფროსი,** – ინფორმაციას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ავრცელებს.

# მარნეულში, ქორწილში ახალგაზრდა კაცი დაჭრეს!

**მარნეულში ქორწილში ახალგაზრდა კაცის დაჭრის ბრალდებით 1 პირი დააკავეს – მას 7 წლამდე პატიმრობა ემუქრება.**

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით 2005 წელს დაბადებული ი.გ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ურთიერთშელაპარაკებისას ცივი იარაღის გამოყენებით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიაყენა – 1992 წელს დაბადებულ ფ.კ.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით საავადმყოფოში მოათავსეს.

**სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ი.გ. ბრალდებულის სახით მომხდარიდან მალევე დააკავეს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“.**

## საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია იწყებს ორგანიზაციის წევრთა ხელახალ რეგისტრაციას!

**საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია** ორგანიზაციის წევრთა მონაცემების განახლების მიზნით მიმართავს მოქმედ წევრებსა და გაწევრიანების მსურველთ, გაიარონ რეგისტრაცია **2026 წლის 1 აპრილიდან.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: **თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №116. „დიდუბე პლაზა“, მე-4 სართული.**

საკონტაქტო პირი: ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ნანა ლომაია.

ტელეფონი: **599-00-44-17**


# ხელოვნების სასახლემ „ლევილი 1918“-ისგან შემოწირულობა მიიღო

**„საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი განსაკუთრებულ მადლობას უხდის „ლევილი 1918“ მესვეურებს, ბატონებს ლადო გეგიასა და თამაზ გუჯეჯიანს სასახლე-მუზეუმების გაერთიანების მხარდაჭერისთვის.**




**„22 აპრილს ხელოვნების სასახლემ „ლევილი 1918-ისგან შემოწირულობის სახით მიიღო ლონდონის ფეირვარპის და ბრომპტონის წმინდა სამების ტაძრის ვიტრაჟთა გაფორმების ორიგინალი ესკიზები. ლადო გეგიამ და თამაზ გუჯეჯიანმა ეს გამორჩეული ხელოვნების ნიმუშები უცხოეთში შეიძინეს და საქართველოში ჩამოიტანეს. საბოლოოდ უნიკალური ესკიზები ხელოვნების სასახლის დასავლეთ ევროპული ხელოვნების ფონდის შემადგენელი ნაწილი ხდება! გვსურს განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატოთ ასეთი მნიშვნელოვანი შემოწირულობის გამო,“** – ნათქვამია ხელოვნების სასახლის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.




# „იმოგზაურე საქართველოში დიუმასთან ერთად“

**როგორც ვიუწყებოდით, 2026 წელს პარიზის წიგნის ფესტივალზე საქართველო საგანგებო სტუმრის სტატუსით წარდგა. ქართული სტენდის სლოგანი იყო: „იმოგზაურე საქართველოში ალექსანდრე დიუმასთან ერთად“.**

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ინფორმაციით, პარიზის წიგნის ფესტივალზე საქართველოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ წარადგინა თავისი გამოცემები: **„ალექსანდრე დიუმა საქართველოში” (ამონარიდი 1859 წლის ფრანგული გამოცემიდან); „საქართველო ჟიულ მურიეს ილუსტრირებული კავკასიის ფურცლებზე“. ღია ბარათების კომპლექტი „30 გზავნილი საქართველოდან: ჟან ბატისტ ტავერნიე, შევალიე შარდენი, შევალიე გამბა, ალექსანდრე დიუმა, ბარონ დე ბაი“; ქეთევან კვანტალიანის ავტორობით შედგენილი ღია ბარათების კომპლექტი „ალექსანდრე დიუმას მოგზაურობა საქართველოში“.**

# ქართული ღვინის ფესტივალი ნორვეგიაში

**ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით და ნორვეგიული კომპანიის „Gvino AS“ ორგანიზებით, ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში, ისტორიულ შენობაში „Gamle Logen“ ქართული ღვინის ფესტივალი გაიმართა.**

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ფესტივალში მონაწილეობდნენ ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები: **„გურა“, „ვინივერია“, „გიოს მარანი“, „თავანკარი“, „ბაიას ღვინო“, „ფაფარი ველი“, „ვილა მოსავალი“, „ბჯ ვაინს“, „წინანდლის ვენახები“, „ეთნო“, „ბედიანი“, „ხოხბის ცრემლები“ და „ლაზარა“.**



კომპანია „Gvino AS“ 2018 წლიდან აქტიურად არის ჩართული ნორვეგიის ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციაში. მისი საქმიანობა მოიცავს დეგუსტაციების, მასტერკლასებისა და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ორგანიზებას.

ნორვეგიაში ქართული ღვინის ფესტივალი პირველად 2023 წელს გაიმართა და დღეს უკვე ჩამოყალიბებულია, როგორც ქართული ღვინის პოპულარიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პლატფორმა.

2025 წლის მონაცემებით, ნორვეგიის სამეფოში საქართველოდან ექსპორტირებულია 137,724 ლიტრი ღვინო, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 27%-ით აღემატება. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ბოლო წლებში სკანდინავიისა და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდის მიზნით არაერთი მნიშვნელოვანი მარკეტინგული აქტივობა განხორციელდა. კერძოდ, კამპანიები ჩატარდა შვედეთში, ნორვეგიაში, ფინეთში, დანიასა და ისლანდიაში.

**აღნიშნულ ბაზრებზე 2026 წელსაც აქტიურად გაგრძელდება მარკეტინგული კამპანიების და ქართული ღვინის პოპულარიზაციის ღონისძიებები.**



# სენაკში სპორტული კომპლექსის – საცურაო აუზის პროექტირება იწყება

**ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა შესაბამისი ხელშეკრულება გააფორმა კონკურსში გამარჯვებულ კომპანიასთან, რომლის მომსახურების შესრულების ვადად 6 თვეა განსაზღვრული.**

ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, სენაკში, პროექტის მიხედვით, დაგეგმილია ახალი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დახურული საცურაო აუზის აშენება. პროექტი ითვალისწინებს არანაკლებ 200 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნის, სპორტული და საბავშვო აუზების, სავარჯიშო დარბაზების, გასახდელების და ფიზიოთერაპიის სივრცეების მოწყობას.

# თელავის თეატრმა მხატვარ ლევან მოსიაშვილის გამოფენას უმასპინძლა

**თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის თეატრმა თელაველი მხატვრის, ლევან მოსიაშვილის რიგით მესამე პერსონალურ გამოფენას უმასპინძლა.**




გამოფენა სახელწოდებით „გაზაფხული“, დამთვალიერებელს საშუალებას აძლევს, ერთ სივრცეში გაეცნოს ხელოვანის მრავალწლიანი შემოქმედებითი ძიების შედეგს – ფერების, ფორმებისა და ემოციების სინთეზს. ლევან მოსიაშვილის შემოქმედება რამდენიმე ეტაპად იყოფა და მოიცავს ქართულ თემატიკას, კახურ ყოფასა და ფილოსოფიურ აბსტრაქციებს.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგვეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა „ტორში“
ზიგზაგის ქუჩა N6

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 27 აპრილს**